

კულტურული მემკვიდრეობის საქართველოს ცენტრი  
ფონდი „ჩვენი საუნჯე“

---

# არქიტექტურული მემკვიდრეობა

პირველი ტომი

რედაქტორები

კახა სიმშიაშვილი და დავით ხოშტარია

თბილისი

2001

GEORGIAN CENTRE OF CULTURAL HERITAGE  
FUND "OUR TREASURY"

---

# Architectural Heritage

VOLUME ONE

Edited by

**Kakha Khimshiashvili and David Khoshtaria**

Tbilisi

2001

**ამ ტომში შესული ყველა წერილი მომზადდა  
“ღია საზოგადოების მხარდამჭერი ფონდის“  
RESEARCH SUPPORT SCHEME-ის დახმარებით  
(გრანტი № 1400 / 1999)**

**All works in the volume were supported by the  
RESEARCH SUPPORT SCHEME  
of the OPEN SOCIETY SUPPORT FOUNDATION  
(Grant No: 1400 / 1999)**

ISBN 99928-0-188-3

©2001 კულტურული მემკვიდრეობის საქართველოს ცენტრი  
ფონდი „ჩვენი საუნჯე“

©2001 Georgian Centre of Cultural Heritage  
Fund "Our Treasury"

## დავით ხოშტარია

### გუმბათქვეშა კონსტრუქციები V-X საუკუნეების ქართულ არქიტექტურაში (ტრომპი და აშრა-ტრომპი)

შუა საუკუნეების ქართულ გუმბათოვან არქიტექტურაში გუმბათის საფუძველს, როგორც წესი, კვადრატი წარმოადგენს. გარდამავალ კონსტრუქციად ადრეულ პერიოდში (V-IX სს-ში და ზოგჯერ X ს-შიც) იხმარება ტრომპები – ნახევარკონუსური ფორმის კამარები, რომლებიც გამოჰყავთ გუმბათქვეშა სივრცის კუთხეებში. ტრომპები აორმაგებს ამ კუთხეების რაოდენობას და, ამდენად, გუმბათქვეშა არეს წრესთან აახლოებს.

დღესდღეობით ცნობილ რამდენიმე ათეულ ქართულ ტრომპებიან ეკლესიაზე დაკვირვებით შეიძლება გამოიყოს ტრომპული სისტემის გამოყენების ორი სქემა<sup>1</sup>. პირველი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ საფეხუროვანი სქემა, გულისხმობს ოთხ ძირითად ტრომპსა და ოთხ გუმბათქვეშა თაღზე დადგმულ რვაწახნაგა გუმბათის ყელს. ტრომპების მეორე რიგი დაცილებულია პირველისაგან და მოთავსებულია მასზე ბევრად მაღლა, როგორც წესი, ყელის ოქტაგონის ზედა კუთხეებში. საჭიროების შემთხვევაში – კერძოდ, თუ გუმბათი დიდია – შეიძლება გაკეთდეს მესამე რიგიც. გადასვლა წრეზე მიიღწევა მხოლოდ გუმბათის ყელის თავზე, უშუალოდ ნახევარსფერული კამარის ძირში. ამ სისტემისათვის დამახასიათებელია გეომეტრიულად მკაფიო, კრისტალური არქიტექტურული ფორმების მოწესრიგებული საფეხუროვანი განლაგება, რაც მისი სტრუქტურული არსის სიცხადესა და გამჭვირვალებას განაპირობებს. ბუნებრივია, რომ მან ყველაზე სრულყოფილი, მხატვრულად გამომსახველი განხორციელება ე. წ. კლასიკური პერიოდის (VI ს. ბოლო – VII ს. I ნახევარი) ნაგებობებში – მცხეთის ჯვარში<sup>2</sup>, ატენის სიონში<sup>3</sup>,

<sup>1</sup> აქ არ ვეხები თავად ტრომპის ფორმის ნაირგვარობის საკითხს, რომელიც ცალკე კვლევას საჭიროებს. ამ პრობლემასთან დაკავშირებით იხ.: W. Rave, Trompe und Zwickel, Festschrift für Hans Jantzen, Berlin, 1951, გვ. 97-103; M. Rumpler, La coupole dans l'architecture byzantine et musulmane, Strasbourg, 1956, გვ. 82-100; Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тбилиси, 1959, გვ. 204-206.

<sup>2</sup> Г. Чубинашвили, Памятники типа Джвари, Тбилиси, 1948, გვ. 40, 102-103, ტაბ. 30, 32-34. ჯვარში, ისევე, როგორც მის მიმდევარ ეკლესიებში – „ჯვრის ტიპის“ ნაგებობებში, დიდ ტრომპებს წაკვეთილი ნახევარკონუსის ფორმა აქვთ კუთხის ნიშების გამო.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 46, ტაბ. 48-49.



წრომსა<sup>4</sup> და სამწევრისში<sup>5</sup> პოვა. უფრო ადრინდელ ნაგებობებში გვხვდება საფეხუროვანი სქემის მარტივი ვარიანტები, რომლებიც არ ითვალისწინებს ტრომპების მეორე რიგს – კეთდება შეკრული რვანაწილიანი კამარა ოქტაგონალურ საფუძველზე (ერელაანთ საყდარი<sup>6</sup>, დავითიანის ორმოცი მოწამე<sup>7</sup>, შიომღვიმის ნათლისმცემელი<sup>8</sup>, იდლეთის ნათლისმცემელი<sup>9</sup> – ყველა V-VI სს-ისა). როგორც ჩანს, ასევე საფეხუროვანი სქემა იყო გამოყენებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ორ ადრეულ ეკლესიაში – სუხბეჩსა<sup>10</sup> და ფარნაკში<sup>11</sup>.

მომდევნო ხანაში საფეხუროვანი სქემა განხორციელებულია ისში<sup>12</sup>, ატენის მცირე გუმბათიან ეკლესიაში<sup>13</sup>, თელოვანის ჯვარპატიოსანში<sup>14</sup>, ქსნის კაბენში<sup>15</sup> (ყველა – VIII-IX სს.), ალბათ ბარცანაშიც (IX ს.)<sup>16</sup>, ვარიანტი ტრომპების ერთი რიგითა და შეკრული რვანაწილიანი კამარით – გურჯაანის ყველაწმინდასა (VIII ს.)<sup>17</sup> და, გ. ჩუბინაშვილის ვარაუდით, ხირსის სტეფანწმინდაში (IX ს-ის რეკონსტრუქცია)<sup>18</sup>.

<sup>4</sup> წრომში მხოლოდ ძირითადი ტრომპების ნაშთები შემორჩა, მაგრამ ნაგებობის საერთო ლოგიკა ეჭვს არ ტოვებს, რომ საფეხუროვანი სქემა აქ სრული სახით იქნებოდა გამოყენებული, საფიქრელია, ტრომპების სამი რიგით (იხ.: Г. Чубинашвили, Цроми, Москва, 1969, გვ. 22-23, 58-60, ნახ. გვ. 32-33-ზე, ილ. 11, 32, 36, 38-40).

<sup>5</sup> Г. Чубинашвили, Самцеврисская церковь в Грузии, Вопросы истории искусства, т. I, Тбилиси, 1970 (ქვემოთ: ВИИ), გვ. 120-121, ტაბ. 36, 39, 41.

<sup>6</sup> Г. Чубинашвили, Крестовокупольная церковь Эрелаант-Сакдари близ Ахмета, ВИИ, ტაბ. 12-13. ერელაანთ საყდარში თვით კამარა არ შემონახულა, მაგრამ მისი არსებობა საეჭვო არ არის, რადგან ყელის კარგად შემორჩენილ სამხრეთ ნაწილზე მეორე რიგის ტრომპები არ ჩანს (დასახ. ნაშრ., გვ. 47). მიუხედავად ამისა, შენობის რესტავრაციისას აქ ნახევარსფერული გუმბათი ამოიყვანეს!

<sup>7</sup> Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 264-265, ტაბ. 187-188.

<sup>8</sup> Г. Чубинашвили, Шиомгвимская Лавра, ВИИ, გვ. 55.

<sup>9</sup> ვ. ცინცაძე, იდლეთის ნათლისმცემლის გუმბათიანი ეკლესია, Ars Georgica 3, თბილისი, 1950, სურ. 4-5, ტაბ. 2.

<sup>10</sup> ასე ვარაუდობდა ე. თაყაიშვილი, რომელსაც 1917 წელს სუხბეჩში გადახურვა უკვე ჩანგრეული დახვდა (Е. Такашвили, Археологическая экспедиция 1917-го года в южные провинции Грузии, Тбилиси, 1952, გვ. 81).

<sup>11</sup> ე. თაყაიშვილის მიხედვით, ფარნაკის ეკლესიის გუმბათის ყელი ოთხწახნაგაა და „გარდამავალი აფრები სრულიად არა აქვს“ (ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938, გვ. 51), მაგრამ ა. კალგინის გეგმაზე ნაჩვენებია სწორედ რვაწახნაგა ყელისა და ტრომპების პროექცია (ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი, შედგენილი პროფ. ექ. თაყაიშვილის მიერ, ტფილისი, 1924, ტაბ. 24).

<sup>12</sup> ე. თაყაიშვილის მიხედვით, გუმბათი ისში „საფეხუროვან ტრომპებს“ ეფუძნებოდა (Е. Такашвили, Археологическая экспедиция, გვ. 80). ნ. ბაგრატიონის ცნობით, 1996 წელს გუმბათქვეშა კონსტრუქცია თითქმის მთლიანად ჩანგრეული იყო, მაგრამ ჯერ კიდევ ჩანდა ტრომპის კვალი.

<sup>13</sup> ლ. რჩეულიშვილი, ატენის მცირე გუმბათიანი ეკლესია, Ars Georgica 1, თბილისი, 1942, გვ. 31, სურ. 2-3.

<sup>14</sup> ვ. ცინცაძე, თელოვანის ჯვარპატიოსანი (VIII-IX ს. ძეგლი), Ars Georgica 5, თბილისი, 1959, სურ. 3-4, ტაბ. 50-53.

<sup>15</sup> Г. Чубинашвили, Архитектурные памятники VIII и IX вв. в Ксанском ущелье, ВИИ, გვ. 164-165, ტაბ. 58-60.

<sup>16</sup> ბარცანის ეკლესიის გუმბათი ჩანგრეულია. შემორჩენილი ნაშთების მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ აქ იყო რვაწახნაგა ყელი და მცირე ტრომპების რიგი მის ზედა კუთხეებში. იხ. ჭრილის რეკონსტრუქცია: Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 351.

<sup>17</sup> Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 279-280, ტაბ. 200-201.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 329-330, ტაბ. 250-II. მოგვიანებით, XVI ს-ში ტაძარი კვლავ საფუძველიანად განახლდა და გუმბათქვეშა ტრომპული კონსტრუქცია აფრულით შეიცვალა. შემორჩა მხოლოდ ერთი ტრომპის ნაშთი სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში.


საფეხუროვანი სქემის უკანასკნელი და ამასთან ტექნიკურად ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში – ტრომპების სამი რიგით – გვაქვს ხანძის მონასტრის წმ. გიორგის ეკლესიაში (910-20-იანი წწ.)<sup>19</sup>.

ტრომპული სისტემის გამოყენების მეორე სქემას პირობითად წრექმნადი შეიძლება ვუწოდოთ. ეს სახელწოდება ალბათ სრულად ვერ ასახავს მის სპეციფიკას, მაგრამ აღნიშნავს მთავარ თავისებურებას – უკვე უშუალოდ ოთხი ძირითადი ტრომპის ზემოთ, გუმბათის ყელის ქვეშ იქმნება წრე (ხაზს ვუსვამ – არა წრეს მიახლოებული მრავალწახნაგა, არამედ სწორედ წრე), ე. ი. კვადრატისა და წრეზე გადასვლის მექანიზმი, რომელიც პირველ სქემაში საფეხურებადაა დაშლილი და გუმბათის ყელის მთელ სიმაღლეზე განაწილებული, აქ თითქოს „ილექება“ ყელის ძირში, იკუმშება და მცირე ფართობზე თავსდება. როგორც წესი, წრექმნად სქემაში მეტ-ნაკლებად აქტიურად მონაწილეობს აფრული ელემენტის ტრომპების აქეთ-იქით კედლის სფერულად შეზნექილი სამკუთხა მონაკვეთების სახით.



წრექმნადი სქემა შეიძლება შეიცავდეს ტრომპების ერთ ან ორ რიგს. ორრიგიანი ვარიანტი განსაკუთრებით მკაფიოდ წარმოაჩენს მის თავისებურებებს. თუ საფეხუროვან სქემაში ყველა შემადგენელი ნაწილი მკაფიოდ მოფარგლულ, დასრულებულ ერთეულს წარმოადგენს და ყოველი მათგანის „მუშაობის“ სივრცეცა და შედეგიც ერთი შეხედვითვე სავსებით ნათელია, აქ ელემენტები კომპაქტურ ჯგუფად იკვრება და მათი ფუნქციები თვალისათვის ძნელი გასამიჯნავია. მცირე ტრომპების დიდებთან მჭიდროდ მიახლოების გამო გუმბათქვეშა კვადრატის წახნაგთა რაოდენობა ერთბაშად, როგორცაა ქართულად იზრდება – ამ პროცესის „წაკითხვა“ საკმაოდ რთულია, ზოგჯერ (განსაკუთრებით მაშინ, როცა ტრომპები თლილი ქვით არ არის გამოყვანილი) შეუძლებელიც. იქმნება შთაბეჭდილება, რომ გადასვლა წრეზე უცებ, ერთიანად ხდება და არა ნაბიჯ-ნაბიჯ, თანდათანობით.

წრექმნადის სქემის ორრიგიან ვარიანტში აფრული მონაკვეთების ზომაც და როლიც უმნიშვნელოა. მცირე ტრომპები თითქმის მთლიანად ავსებენ ადგილს დიდების აქეთ-იქით. მათი წყალობით გუმბათქვეშა არე იმდენად უახლოვდება წრეს, რომ საკმარისია კედლების ოდნავი გამობურცვა სრული სიმრგვალის მისაღწევად. უფრო არსებით როლს ასრულებენ აფრული ელემენტები მარტივ ვარიანტში. როდესაც მშენებლები მხოლოდ ოთხ ძირითად ტრომპს სჯერდებიან და უარს ამბობენ მეორე რიგზე, ბუნებრივია, ფართოვდება აფრული მონაკვეთების ფუნქცია – მათი მეშვეობით ხდება რვაწახნაგას წრემდე მიყვანა. შესაბამისად, იზრდება მათი ზომაც.

<sup>19</sup> 1888 წელს ა. პავლინოვმა ვერ შენიშნა ხანძის ტრომპების მეორე და მესამე რიგები და არასწორად გამოხაზა გუმბათის ნაცვლად რვანაწილიანი კამარა (A. Павлинов, Экспедиция на Кавказ 1888 года, Материалы по Археологии Кавказа, вып. III, Москва, 1893, გვ. 67, таб. XXIV). ეს შეცდომა, რომელიც, ა. პავლინოვის კვალდაკვალ, მეორდებოდა ყველა გამოცემაში 1990-იან წლებამდე, გაასწორა ვ. ჯობაძემ (W. Djobadze, Early Medieval Georgian Monasteries in Historic Tao, Klardjet'i and Šavšet'i, Stuttgart, 1992, გვ. 31, ნახ. 7; მისივე, A Brief Survey of the Monastery of St. George in Hantz'a, Oriens Christianus, 78, 1994, გვ. 165, ნახ. 5. იხ. აგრეთვე: დ. ხოშტარია, კლარჯეთის IX-XI საუკუნეთა სამონასტრო ხუროთმოძღვრება, საქართველოს ეკლესიის, ქართული სასულიერო მწერლობის და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხები, თბილისი, 1998, გვ. 444-445, ნახ. 6).





სურ. 1. ტრომპები ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლურქრისტიანულ ეკლესიებში.  
ზემოთ: მარცხნივ – სამწვერისი, მარჯვნივ – წრომი;  
ქვემოთ: მარცხნივ – მახმუჯუკი (კემზაშენი), მარჯვნივ – ხახი (ელ-ადრა).



სურ. 2. ზემოთ – მცხეთის ჯვარი, ქვემოთ – ერმიადინის წმ. გიორგი  
(6. სვევროვის ნახატებიდან)





სურ. 3. ტრომპები  
ქართულ არქიტექტურაში.  
ზემოთ:  
შიომღვიმის იონანე  
ნათლისმცემლის ეკლესია;  
ქვემოთ:  
ატენის მცირე  
გუმბათიანი ეკლესია

წრქმნადი სქემის გავრცელება ქართულ არქიტექტურაში გარდამავალ ხანას ემთხვევა, თუმცა მცირე ტრომპების დიდებთან მიახლოების ტენდენცია უფრო ადრეც იჩენს თავს, კერძოდ ძველი შუამთის დიდ (მცხეთის ჯვრის ტიპის) ეკლესიაში (VII ს.)<sup>20</sup>. გუმბათის ყელი აქ 16-წახნაგაა, მაგრამ ეს მაინც საფეხუროვანი სქემის სახესხვაობად უნდა ჩაითვალოს. VIII საუკუნიდან X საუკუნის შუახანებამდე წრქმნადი სისტემის გამოყენების რამდენიმე მაგალითი გვაქვს. ვაჩქორის წმ. სტეფანეს ეკლესიაში<sup>21</sup>, მატანის „გუმბათიან საყდარში“ (ორივე – IX ს. II ნახევარი)<sup>22</sup>, ოზაანის ამაღლებასა (IX-X სს. მიჯნა)<sup>23</sup> და მარტვილის მონასტრის დიდ ტაძარში (აღდგენილია 922-957 წლებს შორის)<sup>24</sup> დიდ ტრომპებზე მცირეებია „დასმული“, ნეკრესსა (IX ს.)<sup>25</sup> და კისისხევის ყველაწმინდაში (X ს. I ნახევარი)<sup>26</sup> მხოლოდ დიდი ტრომპებია გაკეთებული. ყველა ჩამოთვლილ ნაგებობაში გუმბათის ყელი შიგნით მრგვალია. ამავე სქემას მისდევენ – თუმცა გარკვეული თავისებურებებით – ქსნის ხეობის ორი უყელოგუმბათიანი ეკლესია – წირქოლი (VIII-IX სს.) და არმაზი (დასრულდა 864 წ.)<sup>27</sup>.

ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, რომელიც წამოიჭრება ტრომპული სისტემის წრქმნადი სქემის განხილვისას, არის მისი შემადგენელი აფრული ელემენტების წარმოშობის პრობლემა. როგორც ცნობილია, საქართველოში – განსხვავებით, ვთქვათ, კონსტანტინეპოლისაგან<sup>28</sup> –

<sup>20</sup> Г. Чубинашвили, Памятники типа Джвари, გვ. 50, ტაბ. 67-68.

<sup>21</sup> ვაჩქორში ტრომპები შემოინახა ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, სხვა სამი კუთხე ჩანგრეულია. ა. კალგინის მიერ 1907 წელს შესრულებულ ნახაზებზე ვაჩქორის გუმბათქვეშა კონსტრუქცია სქემატურად არის ნაჩვენები – დატანილი არ არის მცირე ტრომპები (ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი, ტაბ. 16-17). გ. და ნ. ბაგრატიონების მიერ გაკეთებული ზუსტი ანაზომისათვის იხ.: დ. ხოშტარია, წმ. სტეფანეს ეკლესია ვაჩქორის მონასტერში, ძეგლის მეგობარი, №4 (99), 1997, გვ. 26, სურ. 2.

<sup>22</sup> დ. თუმანიშვილი, „გუმბათიანი საყდარი“ სოფ. მატანის მიდამოებში, ძეგლის მეგობარი, №60, 1982, გვ. 31-32.

<sup>23</sup> Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 355, 361, ტაბ. 274.

<sup>24</sup> Г. Чубинашвили, Памятники типа Джвари, გვ. 53, ტაბ. 70-71, 73-74. მარტვილში დიდი ტრომპების ნაცვლად გამოყვანილია დაკიდული თაღები – გ. ჩუბინაშვილის გამოთქმით, ეს არის „ტრომპის დაშლა ნაწილებად“. VII საუკუნის ტაძრის მოგვიანო რეკონსტრუქციას ათარიღებს „მატიანე ქართლისა“, რომლის მიხედვითაც ეკლესია ააშენა (უნდა ვიგულისხმოთ – აღადგინა) აფხაზთა მეფე გიორგი II-მ (ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 265). ვფიქრობ, რომ გუმბათქვეშა კონსტრუქცია სწორედ ამდროინდელი უნდა იყოს. რაც შეეხება თვით გუმბათს, ის კიდევ უფრო გვიანდელია.

<sup>25</sup> Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 321, ტაბ. 239-240.

<sup>26</sup> გ. ჩუბინაშვილი კისისხევს VI-VII სს-ით ათარიღებდა (Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 257), მაგრამ მისი არქიტექტურის ისეთი თავისებურებები, როგორიცაა გარე კუთხეების ნიშების ნახევარკონუსური გადახურვა და გუმბათის მრგვალი ყელი მოწმობს, რომ შენობა X ს-ზე ადრინდელი არ უნდა იყოს.

<sup>27</sup> Г. Чубинашвили, Архитектурные памятники VIII и IX вв. в Ксанском ущелье, ВИИ, გვ. 145-147, 154-156, ტაბ. 47, 49. მე ვემხრობი გ. ჩუბინაშვილის მიერ შემოთავაზებულ დათარიღებას. გ. ყიფიანის აზრით, წირქოლი, კაბენი, არმაზი და აგრეთვე გურჯაანის ყველაწმინდა VI საუკუნეშია აშენებული (გ. ყიფიანი, კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები, თბილისი, 2000, გვ. 90-97).

<sup>28</sup> ბიზანტიურ არქიტექტურაში აფრები მკვიდრდება VI ს-იდან. უადრეს მონუმენტურ ნიმუშად მკვლევართა უმრავლესობა მიიჩნევს კონსტანტინეპოლის წმ. სოფიოს ტაძრის 558-562 წლებში აღდგენილ გუმბათქვეშა კონსტრუქციას (R. Traquair, The Origin of the

ადრექრისტიანულ ხანაში აფრები არ იხმარება, არც დამოუკიდებლად და არც ტრომპის დანამატად. ქართულ არქიტექტურაში აფრის გამოყენების უადრეს მაგალითად ითვლება ვაჩნაძიანის ყველაწმინდის ეკლესია, აგებული IX საუკუნეში, ე. ი. დაახლოებით იმ დროს, როცა ვრცელდება ტრომპული სისტემის წრექმნადი სქემა. ძნელია ითქვას, როგორია ამ ორი მოვლენის ურთიერთმიმართება. შესაძლოა, აფრები განვითარდა წრექმნადი სქემიდან მისი შემადგენელი აფრული ჩანასახის საფუძველზე; შესაძლოა, პირიქით, წრექმნადი სქემა შეიქმნა უკვე ცნობილი აფრული სისტემის ზეგავლენით; არც ისაა გამორიცხული, რომ ისინი ქართულ არქიტექტურაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იყოს დამკვიდრებული. ამ საკითხზე მსჯელობისას ალბათ მაინც გასათვალისწინებელია, რომ ქვეყნის სხვადასხვა მხარეში შემოინახა გარდამავალი ხანის ათამდე ნაგებობა, რომლებშიც ტრომპული სისტემის წრექმნადი სქემაა განხორციელებული, ხოლო იმავე ხანების აფრებიანი შენობა სულ რამდენიმე ვიცით, თანაც ვაჩნაძიანის გარდა ყველა მხოლოდ აფხაზეთში (ბზიფი, ლიხნე, მოქვი). ვფიქრობ, ეს გარკვეულ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ აფრული ელემენტი ჩვენს არქიტექტურაში პირველად სწორედ წრექმნადი სქემის გზით შემოვიდა, როგორც ძირითადი ტრომპული მექანიზმის დამხმარე დამატება და შემდეგ იქცა დამოუკიდებელ კონსტრუქციულ სისტემად. ეს მხოლოდ წინასწარი მოსაზრებაა, რომლის სათანადოდ დასაბუთებაც ჩაღრმავებულ კვლევა-ძიებას საჭიროებს.

თუ განვიხილავთ ქართულ ხუროთმოძღვრებაში გამოყენებულ ტრომპულ სისტემებს სხვა ქრისტიანული ქვეყნების ანალოგიურ კონსტრუქციებთან მიმართებაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს სიახლოვე VI-X სს-თა სომხურ არქიტექტურასთან. შუა საუკუნეების სომეხი მშენებლები კარგად იცნობდნენ ტრომპული სისტემის ორსავე ზემოთაღწერილ სქემას. განსაკუთრებით მრავლად მოიპოვება აქ საფეხუროვანი სქემის ნიმუშები – ეჩმიაძინის სურბ გაიანე<sup>29</sup>, ოძუნი<sup>30</sup>, მრენი<sup>31</sup>, აშტარაკის სურბ ასტვაცაცინი (კარმრავორი)<sup>32</sup>, ბჯნის სურბ სარქისი<sup>33</sup>, სისიანის სურბ ოვანესი<sup>34</sup>,

Pendentive, Montreal, 1928, გვ. 2-5; J. Fink, Die Kuppel über dem Viereck: Ursprung und Gestalt, Freiburg-München, 1958, გვ. 17-20; Г. Чубинашвили, Цроми, 1969, გვ. 62). ამავე დროს აღნიშნავენ, რომ მინიატურულ ნაგებობებში აფრები გვხვდება უფრო ადრეც, მაგალითად აბუ მინას ეკლესიის კრიპტაში აღექსანდრიასთან – V ს. დასაწყისი (G. Stanzl, Längsbau und Zentralbau als Grundthemen der frühchristlichen Architektur, Wien, 1979 გვ. 97), სენატის სახლის პორტიკოში კონსტანტინოპოლში – 530-იანი წწ. (R. Krautheimer, Early Christian and Byzantine Architecture, Harmondsworth, 1975, გვ. 253). ე. ჰ. სვიფტის აზრით, „ნამდვილ აფრებად“ უნდა ჩაითვალოს წმ. სოფიოს ტაძრის თავდაპირველი გარდამავალი სისტემა (E. H. Swift, Roman Sources of Christian Art, New-York, 1951, გვ. 123-124).

<sup>29</sup> Н. Токарский, Архитектура Армении IV-XIV вв., Ереван, 1961, ნახ. 31; Г. Чубинашвили, Разыскания по армянской архитектуре, Тбилиси, 1967, გვ. 43-44, ტაბ. 41-43.

<sup>30</sup> Г. Чубинашвили, Разыскания, ტაბ. 57-b; В. Brentjes, S. Mnazakanjan, N. Stepanjan, Kunst des Mittelalters in Armenien, Berlin, 1981, ტაბ. 52; Г. Шахкян, Одзун, Ереван, 1983 (სომხ. ენაზე, რუს. რეზიუმეით), ნახ. 8, 10, ტაბ. 11.

<sup>31</sup> Г. Чубинашвили, Разыскания, ტაბ. 51-b.

<sup>32</sup> იქვე, გვ. 67, ტაბ. 68-b.

<sup>33</sup> Н. Токарский, Архитектура Армении, ნახ. 41-a, 44.

<sup>34</sup> А. Еремян, Храм Рипсимэ, Ереван, 1955, გვ. 50, ნახ. 10, ტაბ. 42; А. Якобсон, Очерки истории зодчества Армении V-XVIII веков, Москва-Ленинград, 1950, სურ. 10.

ადიამანის (გარნაჰოვიტის) სურბ გეგორქი<sup>35</sup>, მახმუჯუკი (პემზაშენი)<sup>36</sup>, კამსარაკანების ეკლესია თალინში<sup>37</sup>, ხნევანქი<sup>38</sup> (ყველა – ტრომპების ორი რიგით), მასტარა<sup>39</sup>, ვოსკეპარი<sup>40</sup>, ღმბატის სურბ სტეფანოსი<sup>41</sup> (ტრომპების სამი რიგით). შედარებით ნაკლებად გვხვდება წრეკმნადი სქემის მაგალითები – ავანი<sup>42</sup>, ეჩმიადინის სურბ რიფსიმე<sup>43</sup>, აიგეშატის თარგმანჩაც-ვანქი<sup>44</sup>. არის თავისებური ვარიანტიც, რომელიც ორივე სქემის ნიშნებს ატარებს – ალაშინის სურბ ანანია<sup>45</sup>. ამ შენობებს თითქმის ყველა მკვლევარი VI-VII სს-ს აკუთვნებს, ამასთან მათი ნაწილი თვლის, რომ ტრომპული კონსტრუქცია სომხურ არქიტექტურაში ფართოდ გამოიყენება VII ს-ის შუახანებამდე<sup>46</sup>, ხოლო შემდეგ საყოველთაოდ ვრცელდება აფრული სისტემა და ტრომპებს მხოლოდ კონსერვატიზმით გამორჩეულ პროვინციულ მშენებლობაში თუ შევხვდებით, კერძოდ სიუნიქის IX-X სს-თა ეკლესიებში (სევანის არაქელოცი<sup>47</sup>, აცარატი<sup>48</sup>, შოგუავანქი<sup>49</sup>, ჰაირივანქი<sup>50</sup>, ლანჯახპაური<sup>51</sup>, ვანევანი<sup>52</sup>, მაკენოცაც ვანქი<sup>53</sup>). გ. ჩუბინაშვილის მიერ მთელი რიგი, სხვების მიერ ადრეულად მიჩნეული ნაგებობების – მასტარას, ოძუნის, ვოსკეპარის, მახმუჯუკის, ადიამანის და სხვათა – გადათარიღება VIII-X სს-ით, თუნდაც ბევრ პუნქტში სადავო იყოს, გარკვეულად ეჭვქვეშ აყენებს ამ მოსაზრებას. ესეც რომ არა, 930-943 წწ-ით მტკიცედ დათარიღებულ კარსის არაქელოცში<sup>54</sup> ტრომპების გამოყენება მოწმობს,

<sup>35</sup> А. Еремян, Храм Рипсимэ, გვ. 54; Г. Чубинашвили, Разыскания, გვ. 27-28, ნახ. 9, ტაბ. 28.

<sup>36</sup> Г. Чубинашвили, Разыскания, გვ. 80, ტაბ. 103-105.

<sup>37</sup> იქვე, გვ. 70, ტაბ. 78.

<sup>38</sup> იქვე, გვ. 72, ნახ. 25, ტაბ. 83-b, 84-a.

<sup>39</sup> იქვე, გვ. 139, ტაბ. 175-178; А. Якобсон, Очерки, სურ. 16.

<sup>40</sup> Н. Токарский, Архитектура Армении, ნახ. 49; Г. Чубинашвили, Разыскания, გვ. 139, ნახ. 43, ტაბ. 184-185.

<sup>41</sup> Н. Токарский, Архитектура Армении, ნახ. 41-b; Г. Чубинашвили, Разыскания, გვ. 87, ტაბ. 115-116; В. Brentjes, S. Mnazakanjan, N. Stepanjan, გვ. 64.

<sup>42</sup> А. Якобсон, Очерки, გვ. 21, სურ. 8; А. Еремян, Храм Рипсимэ, გვ. 50, ტაბ. 55; Т. Марутян, Храм Аван, Ереван, 1976 (სომხ. ენაზე), ნახ. 19-20, ილ. 7-10.

<sup>43</sup> А. Еремян, Храм Рипсимэ, გვ. 54-58, ტაბ. 10-11, 28-29; Г. Чубинашвили, Разыскания, გვ. 27, ნახ. 4, ტაბ. 12-15; В. Brentjes, S. Mnazakanjan, N. Stepanjan, გვ. 66, ტაბ. 41.

<sup>44</sup> А. Еремян, Храм Рипсимэ, გვ. 50-51, ნახ. 11, ტაბ. 61; Г. Чубинашвили, Разыскания, გვ. 27, ნახ. 11, ტაბ. 36.

<sup>45</sup> Н. Токарский, Архитектура Армении, ნახ. 45-a.

<sup>46</sup> ასე თვლის, მაგალითად, ნ. ტოკარსკი: Н. Токарский, Архитектура Армении, გვ. 149, 230, აგრეთვე ქრონოლოგიური ტაბულა გვ. 168-სთან.

<sup>47</sup> С. Х. Мнацаканян, Сюникская школа армянского зодчества, Ереван, 1960 (სომხ. ენაზე, რუს. რეზიუმეთი), სურ. 13; Н. Токарский, Архитектура Армении, გვ. 228; Г. Чубинашвили, Разыскания, გვ. 83, ტაბ. 108-109; S. Mnatsakanian, Sevan, Documenti di architettura armena (ქვემოთ: DAA), 18, Milano, 1987, გვ. 26, ტაბ. 9-10 (შეცდომით აწერია „ასტვაცაცინი“ - სევანის სხვა ეკლესიის სახელი).

<sup>48</sup> Н. Токарский, Архитектура Армении, გვ. 228-229.

<sup>49</sup> იქვე.

<sup>50</sup> იქვე, გვ. 230, ნახ. 93; DAA, 18, გვ. 36, 38.

<sup>51</sup> С. Х. Мнацаканян, Сюникская школа, სურ. 11.

<sup>52</sup> იქვე, სურ. 31, 33.

<sup>53</sup> იქვე, სურ. 38.

<sup>54</sup> Н. Токарский, Архитектура Армении, გვ. 181; Г. Чубинашвили, Разыскания, გვ. 138-139, ნახ. 45, ტაბ. 189; J.-M. Thierry, La Cathédrale des Saint-Apôtres de Kars (930-943), Louvain-Paris, 1978, ტაბ. II-3,4, VII-1,2,3,4.



რომ ეს კონსტრუქცია X ს-ისთვის მხოლოდ ჩამორჩენილი პროვინციული არქიტექტურის რეპერტუარში არ ყოფილა შემონახული – არაქელოციის ტაძარი ხომ მეფე აბასმა ააშენებინა თავის სატახტო ქალაქში, რომელიც იმხანად სომხეთის ერთ-ერთი უმთავრესი პოლიტიკური და კულტურული ცენტრი იყო. კარსის მიდამოებში არის მეორე დიდი ეკლესიაც – ე. წ. ქუმბეთ ქილისე (ასევე X ს.), რომელშიც ასევე ტრომპული გადასვლაა გაკეთებული<sup>55</sup>. აქვე შეიძლება გავიხსენოთ, რომ რიგი მკვლევარები – რ. კრაუტჰაიმერი<sup>56</sup>, ს. მანგო<sup>57</sup>, ა. კომეჩი<sup>58</sup> და სხვანი – შუაბიზანტიური ტაძრების არქიტექტურაში ტრომპების დამკვიდრებას ასეთუისე სომხურ გავლენას მიაწერენ. რ. კრაუტჰაიმერის აზრით, „გუმბათის საყრდენად გამოყენებული კუთხის ტრომპები სომხური საეკლესიო ნაგებობის მუდმივი თვისებაა (permanent feature) მეშვიდე საუკუნიდან მაინც და ისინი იოლად შეიძლება მოხვედრილიყვნენ შუაბიზანტიელ დამკვეთთა და მშენებელთა ყურადღების არეში. ბოლოსდაბოლოს, 1000 წლის ახლო ხანებში კონსტანტინოპოლში სომეხი არქიტექტორები მოღვაწეობდნენ“<sup>59</sup>. ალბათ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ სომეხ არქიტექტორთა სამშენებლო პრაქტიკაში ტრომპული სისტემა აფრულზე მეტად თუ არა, არანაკლებ მაინც იყო მიღებული.

ასეა თუ ისე, რომ აღარაფერი ვთქვათ საკამათო დათარიღებებსა და ირიბ არგუმენტებზე, არცთუ მცირერიცხოვანი ზუსტად დათარიღებული ეკლესიებიც ცხადყოფს, რომ X ს-ის შუახანებამდე მაინც სომეხი ხუროთმოძღვრები არ იგიწყებდნენ ტრომპულ სისტემას<sup>60</sup>, ამასთან, IX-X სს-ში კვლავ გამოიყენება ორივე სქემა – როგორც საფეხუროვანი (სიუნიქის ეკლესიები), ისე წრეკმნადი (კარსის ეკლესიები), ე. ი. ამ მხრივ სურათი აქ იგივეა, რაც საქართველოში. სხვაგვარადაა ქვედა ქრონოლოგიური ზღვრის საქმე. ვფიქრობ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ წრეკმნადი სქემა სომხეთში უფრო ადრე გახდა ცნობილი, ვიდრე საქართველოში. მისი უადრესი სომხური ნიმუში – ავანის ტაძარი, საყოველთაო აზრით, VI ს-ის ბოლოს ან VI-VII სს-თა მიჯნაზეა აგებული<sup>61</sup>. როგორც ჩანს, ამავე სქემით იყო გაკეთებული გარდამავალი კონსტრუქცია ზვართნოცშიც (641-662 წწ.)<sup>62</sup>.

<sup>55</sup> J.-M. Thierry, La Cathédrale..., გვ. 18-19. ქუმბეთ-ქილისეს გუმბათი ჩანგრეულია, მაგრამ ჩანს კარსის ტაძრის ანალოგიური ტრომპების ქვედა ნაწილები.

<sup>56</sup> R. Krautheimer, Early Christian..., 1975, გვ. 348, 357.

<sup>57</sup> C. Mango, Byzantine Architecture, New-York, 1976, გვ. 222.

<sup>58</sup> А. Комеч, Древнерусское зодчество конца X - начала XII в., Москва, 1987, გვ. 88-92.

<sup>59</sup> R. Krautheimer, Early Christian..., გვ. 357.

<sup>60</sup> ეპიზოდურად ტრომპები გვიანი შუა საუკუნეების სომხურ არქიტექტურაშიც გვხვდება (დარაშამბის სურბ ასტვაცაცინი – 1518 წ. იხ. A. Alpago-Novello, Sorhul, DAA, 20, 1989, ტაბ. 52-53. ა. ალპაგო-ნოველო ცდება, როცა წერს, რომ აქ პანდატივებია – გვ. 90). უფრო ხშირია ისლამური ხუროთმოძღვრებიდან ნასესხები ტრომპის სახესხვაობა, დაფარული რომბების „ბადით“ (სურბ სტეფანოსი ჯულფასთან – XVII-XVIII სს., იხ. H. Hofrichter, G. Uluhogian, S. Stephanos, DAA, 10, 1980, გვ. 60-63, ტაბ. 33-38; აგულისის სურბ თოვმა, სურბ ქრისტოფორი და სურბ ჰოვანეს მკრტიჩი – ყველა XVII ს., იხ. А. Айвазян, Агулис, Ереван, 1984 (სომხ. ენაზე), ტაბ. 14, 16-17, 33-34, 40; სორჰულის სურბ ჰოვანესი – XIX ს., იხ. DAA, 20, გვ. 20-21, ტაბ. 7-8).

<sup>61</sup> შენიშვნა 41-ში დასახელებულ ლიტერატურასთან ერთად იხ.: А. Тораманян, Заметки об архитектуре храма в Аване, Научные сообщения, вып. X, Москва, 1978, გვ. 115-126.

<sup>62</sup> ასე აღადგენენ ნაგებობას ს. ხ. მნაცაკანიანი (С. Мнацаканян, Звартноц, Москва, 1971, გვ. 37, ნახ. 14) და ბოლოხანს ტ. მარუტიანიც (Т. Марутян, Архитектурные памятники: Звартноц, Аван, Собор Анийской Богоматери., Ереван, 1989, გვ. 25-26). მანამდე ის

ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში სურათი გაცილებით უფრო მწირია. ეკლესიათა უდიდესი ნაწილი მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურებულია, ფრაგმენტულად შემორჩენილ ნაგებობათა გადახურვის სისტემის რეკონსტრუქცია ხშირად მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ბევრ შემთხვევაში საკამათოა დათარიღებებიც.

ტრომპული სისტემის ნიმუშები შედარებით მეტი შემოდინახა მესოპოტამიის ქრისტიანულ არქიტექტურაში, პირველ რიგში ტიგროსის ზედაწელში მდებარე მთიანი მხარის – ტურ აბდინის ნაგებობებში. დამახასიათებელი მაგალითია ღვთისმშობლის ეკლესია (იგივე ელ-ადრას მარტირიუმი) ხახში (VI ს.)<sup>63</sup>. აქ უშუალოდ ოთხ დიდ ტრომპს ზემოთ ამოყვანილია რვანაწილიანი ვარსკვლავისებრი სახსრებიანი კამარა (Klosterkuppel). მარ დუჰანანის მონასტრის ეკლესიაში (VI-VII სს.) ძირითადი ტრომპებით შექმნილი რვაწახნაგას ზედა კუთხეებში მცირე ტრომპებიცაა გამოყვანილი და მათი მეშვეობით ხერხდება ნამდვილი ნახევარსფერული გუმბათის გაკეთება<sup>64</sup>. ადრეული შენობებს შორის ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ვირანშეჰირის ტაძარი ედესასთან (აიგივებენ ძველ ანტონინოპოლისთან<sup>65</sup> ან კონსტანტინასთან<sup>66</sup>, V-VI სს?), სადაც გუმბათის საფუძველი ოქტაგონია და არა კვადრატი. ტაძარი დანგრეულია, მაგრამ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ გადასვლა ტრომპული იქნებოდა<sup>67</sup>. ქრონოლოგიურად შემდგომი, უკვე არაბთა დაპყრობების მომდევნო ხანის ნიმუშები მოიპოვება ნიზიბისის (ნაზიბინის) მარ დაკუბში (შენობის ბირთვი IV ს-ისაა, გუმბათი, როგორც ჩანს, 759 წლისა)<sup>68</sup> და ამიდას (დიარბაქირის) ნესტორიანულ ეკლესიაში (არაუგვიანეს X ს-ისა)<sup>69</sup>. ამ უკანასკნელ ნაგებობას ორი გუმბათი აქვს, ორივე ტრომპებზე. ამათგან აღმოსავლეთისა

---

ემხრობოდა თ. თორამანიანის რეკონსტრუქციას აფრული გადასვლით (Т. Марутян, Звартноц и памятники типа Звартноц, Ереван, 1963, სომხ. ენაზე, რუს. რეზიუმეთი, გვ. 156, ნახ. 2, ფოტო 2).

<sup>63</sup> G. L. Bell, *The Churches and Monasteries of the Tur Abdin*, in: M. van Berchem, J. Strzygowski, *Amida, Heidelberg*, 1910, გვ. 258-262, სურ. 206, ტაბ. XXIII; Ch. Diehl, *Manual d'art byzantine*, Paris, 1925-26, გვ. 38; U. Monneret de Villard, *Le chiese della Mesopotamia*, *Orientalia Christiana Analecta*, CXXVIII, Rome, 1940, გვ. 58, ნახ. 61; C. Mango, *Byzantine Architecture*, გვ. 184, ილ. 211; R. Krautheimer, *Early Christian..*, გვ. 319-320. ხახში ჩრდილოეთისა და სამხრეთის მართკუთხა მკლავებს კონქური გადახურვა აქვს ასევე ტრომპებზე (C. Mango, *Byzantine Architecture*, ილ. 213). მსგავსი რამ ტურ აბდინის სხვა ეკლესიებშიც გვხვდება, მაგალითად მარ თაჰმაზგერდის მარტირიუმში – აქ კონქები ტრომპებზე ხურავს გრძივი კედლების ოთხ-ოთხ ნიშას (U. Monneret de Villard, *Le chiese*, გვ. 29, ნახ. 23). ამ გადაწყვეტის შორეულ გამოძახილს ხედავს უ. მონერე დე ვიარის დაღმაციაში, ზარას წმ. ლავრენტისა (919 წ.) და სპლიტის (სპალატოს) წმ. ნიკოლოზის (1069 წ.) ეკლესიებში, სადაც გვერდით ნაწილებში ანალოგიური კონსტრუქცია იხმარება (იქვე, გვ. 66, ნახ. 63-64).

<sup>64</sup> G. L. Bell, *The Churches..*, გვ. 230, სურ. 151.

<sup>65</sup> O. M. Dalton, *East Christian Art*, Oxford, 1924, გვ. 135.

<sup>66</sup> J. Strzygowski, *Kleinasien: Ein Neuland der Kunstgeschichte*, Leipzig, 1903, გვ. 96.

<sup>67</sup> იქვე, გვ. 96-100, სურ. 68-70; J. Strzygowski, *Amida*, გვ. 184, 214, 219-221, სურ. 136.

<sup>68</sup> J. Strzygowski, *Amida*, გვ. 271, სურ. 214; U. Monneret de Villard, *Le chiese*, გვ. 57, 87, ნახ. 92; R. Krautheimer, *Early Christian..*, გვ. 516, შენ. 8. თარიღისათვის იხ. აგრეთვე: Г. Чубинашвили, *Цроми*, გვ. 105, შენ. 144.

<sup>69</sup> J. Strzygowski, *Amida*, გვ. 173-177; Ch. Diehl, *Manual*, გვ. 38; U. Monneret de Villard, *Le chiese*, გვ. 31, ნახ. 44.

თავდაპირველია, დასავლეთისა – მოგვიანებით (XVI-XVIII სს-ში?) განახლებული. გვიანი ტრომპებიანი ეკლესიები არის მესოპოტამიის დაბლობ ნაწილშიც – ქაჩქუის ეკლესია (ამჟამად მეჩეთი ულუჯამი, XIII ს.)<sup>70</sup>, მოსულის მარ აჰუდემე (XII-XIII სს.)<sup>71</sup> და თაპრათ მირიამ ალ-ადრა (1774 წ.)<sup>72</sup> და სხვა. უეჭველია, რომ მესოპოტამიაში ტრომპულის სისტემის გამოყენების მყარი ტრადიცია არსებობდა.

როგორც ჩანს, იგივე შეიძლება ითქვას მცირე აზიის შიდა მხარეებისა და, პირველ რიგში, კაპადოკიის შესახებაც. მ. რესტლე მართალი უნდა იყოს, როცა აცხადებს, რომ „ადრეული კაპადოკიური გუმბათი ტრომპებიანი გუმბათია (Trompenkuppel)“<sup>73</sup>, თუმცა ამ განაცხადის დამადასტურებელი თითქმის არაფერი შემორჩა. ერთადერთი შედარებით უკეთ დაცული ტრომპებიანი ნაგებობა არის სივრიპისარის ეკლესია (ქიზილ ქილისე, 600 წლის ახლოს)<sup>74</sup>. აქაც საფეხუროვანი სქემაა, ტრომპების ორი რიგითა და გუმბათის მაღალი რვაწახნაგა ყელით. საფიქრებელია, რომ ანალოგიური გადაწყვეტა უნდა ყოფილიყო კაპადოკიის სხვა, ამჟამად ჩანგრეულ, ადრეულ ეკლესიებშიც, პირველ რიგში ჰელვედერეს ხეობაში მდებარე მოკისოსის (ვირანშეჰირის) ქემერ ქილისეში<sup>75</sup>.

რამდენადაც ამ თითო-ოროლა ნიმუშით შეიძლება ვიმსჯელოთ, მესოპოტამიისა და კაპადოკიის ეკლესიებში იყენებდნენ საფეხუროვან სქემას ტრომპების ერთი ან ორი რიგით. გუმბათები კაპადოკიაში ქვისა იყო, მესოპოტამიაში – ქვის ან აგურის (გამონაკლისი შეიძლება იყოს კონსტანტინას ოქტაგონი – მას ხის გადახურვა უნდა ჰქონოდა).

მცირე აზიის შიდა ოლქებიდან ტრომპების ერთი ნიმუში ცნობილია პაფლაგონიაშიც. ეს არის 1921 წელს დანგრეული ანკირის (ანკარის) წმ. კლიმენტის ეკლესია (VI-VII სს. ან უფრო გვიან)<sup>76</sup>. როგორც ძველი აღწერებიდან და ნახაზებიდან ჩანს, შენობას ჰქონდა ტრომპები წრეჭმნადი სქემით.

კილიკიაში ტრომპების კვალი შემოინახა ალაჰანის მონასტრის აღმოსავლეთ ეკლესიაში (ხოჯა-კალესი) ისაერიასთან (V ს-ის II ნახევარი)<sup>77</sup>, კორიკოსის კათედრალში (ქიზ-ქალესი, ათარიღებენ

<sup>70</sup> U. Monneret de Villard, *Le chiese*, გვ. 77, ნახ. 74.

<sup>71</sup> იქვე, გვ. 80, ნახ. 84.

<sup>72</sup> იქვე, გვ. 80, ნახ. 83.

<sup>73</sup> M. Restle, *Studien zur frühbyzantinischen Architektur Kappadokiens*, Wien, 1979, გვ. 149. რ. კრაუტჰაიმერიც ამ რეგიონთან დაკავშირებით ლაპარაკობს ტრომპებზე, როგორც ჩვეულებრივ მოვლენაზე (R. Krautheimer, *Early Christian..*, გვ. 420).

<sup>74</sup> M. Restle, *Studien*, გვ. 57-63, 127-131, ტაბ. 115, 121-123.

<sup>75</sup> იქვე, გვ. 73, ტაბ. 138-141. გ. ჩუბინაშვილი, ზ. გუიერზე დაყრდნობით, ვარაუდობს, რომ აქ კუთხის ირიბი ზღუდარები უნდა ყოფილიყო და არა ტრომპები – ისე, როგორც არის ტომარცას პანაგიაში, იხ.: Г. Чубинашвили, Црми, გვ. 61. მითითება ამასთან დაკავშირებით (გვ. 102, შენ. 102) ი. სტრიგოვსკის *Kleinasien-ზე* (გვ. 96-100), როგორც ჩანს, *lapsus calam-*ია: აქ ი. სტრიგოვსკი იხილავს ტურ აბდინის ვირანშეჰირს (მის მიხედვით – ყოფილი კონსტანტინა).

<sup>76</sup> J. Strzygowski, *Kleinasien*, გვ. 115-116; Ch. Diehl, *Manual*, გვ. 98; E. H. Swift, *Roman Sources of Christian Art*, New York, 1951, გვ. 104; R. Krautheimer, *Early Christian..*, გვ. 302-304; C. Mango, *Byzantine Architecture*, გვ. 172, ილ. 183.

<sup>77</sup> J. Strzygowski, *Kleinasien*, გვ. 109-115, სურ. 79-80; Ch. Diehl, *Manual*, გვ. 97, 100, სურ. 36-38; E. B. Smith, *The Dome: a Study in the History of Ideas*, Princeton, 1950, გვ. 125-126, სურ. 194; R. Krautheimer, *Early Christian..*, გვ. 258-260, ილ. 201; C. Mango, *Byzantine Architecture*, გვ. 71, ილ. 73.

სხვადასხვაგვარად V-VII სს-ის ფარგლებში)<sup>78</sup> და მერიამლიკის ე. წ. „გუმბათიან ბაზილიკაში“ სელევკიის მახლობლად (471-494 წწ.)<sup>79</sup>. მათ არსებობას გარკვეული სიფრთხილით ვარაუდობენ აგრეთვე კორიკოსის ბაზილიკაში extra muros (ე. წ. ბაზილიკა №2, VI ს?)<sup>80</sup>.

სირიისა და პალესტინის ნაგებობათაგან ტრომპული კონსტრუქციის გამოყენების მაგალითებად ასახელებენ ხოლმე კალათ-სემანის (480-490 წწ.) ცენტრალურ ოქტაგონს<sup>81</sup>, რუსაფას წმ. სერგის (ე. წ. ბაზილიკა A, 520 წლის წინა ხანები) ცენტრალურ კვადრატსა და მეორე სართულის სათავსებს საკურთხევლის აქეთ-იქით<sup>82</sup>. ზოგი ავტორი შესაძლებლად მიიჩნევს ტრომპების რეკონსტრუქციას ასევე ღაზას წმ. სერგის ტაძარში (536 წლის წინა ხანები)<sup>83</sup>, ბოსრას კათედრალსა (512 წ.)<sup>84</sup> და ეზრას (ზორას) წმ. ელიას ეკლესიაშიც (VI ს.)<sup>85</sup>. ჩამოთვლილ შენობათაგან ტრომპები ჩვენს დრომდე თავის ადგილზე შემონახა მხოლოდ რუსაფას მეორე სართულის სათავსებში.

მესოპოტამიისა და კაპადოკიისაგან განსხვავებით, კილიკიაში, სირიასა და პალესტინაში, უკვე საყოველთაოდ გაზიარებული აზრით, VI ს-ის II ნახევრამდე მაინც ტრომპები იხმარება არა ქვის ან აგურის

<sup>78</sup> E. Herzfeld, S. Guyer, Meriamlik und Korykos, Manchester, 1930, გვ. 124-126, სურ. 128; R. Krautheimer, Early Christian..., გვ. 115, თარიღისათვის იქვე, გვ. 494, შენ. 20.

<sup>79</sup> E. Herzfeld, S. Guyer, Meriamlik und Korykos, გვ. 62-64; E. B. Smith, The Dome, გვ. 126 (ბურჯების სისქის გამო თვლის, რომ ეკლესიას ჰქონდა ქვის გუმბათი და აგების თარიღი გადააქვს VI ს-ში); E. H. Swift, Roman Sources, გვ. 104 (პირიქით, მერიამლიკს მიიჩნევს ტრომპებიანი ეკლესიის უადრეს ნიმუშად მთელ მცირე აზიაში).

<sup>80</sup> E. Herzfeld, S. Guyer, Meriamlik und Korykos, გვ. 128-129. ი. სტრიგოვსკისა (J. Strzygowski, Kleinasien, გვ. 45) და შ. დილის (Ch. Diehl, Manual, გვ. 100) მიხედვით, კორიკოსის ბაზილიკა №2-ში აფრები იყო.

<sup>81</sup> ჰ. კ. ბატლერის 1900 წლის ექსპედიციის ფოტოსურათებზე ტრომპები კალათ-სემანის ცენტრალურ ნაწილში არ ჩანს (H. C. Butler, Early Churches in Syria, Princeton, 1929, სურ. 103). 1930-იან წლებში დ. კრენკერმა აღმოაჩინა მათი ფრაგმენტები და წარმოადგინა გრაფიკული რეკონსტრუქცია ხის გუმბათით რვა ტრომპზე (D. Krenker, Was das Oktogon Wallfahrtskirche des Simeon Stylites in Kal'at Simân überdeckt? Römische Mitteilungen, XLIX, 1934, გვ. 62-89). მიუხედავად ამისა, ზოგი მკვლევარი მაინც თვლის, რომ ტრომპების აღდგენა პირობითია. ზოგს ეეჭვება არა მხოლოდ ტრომპების, არამედ საერთოდ გადახურვის არსებობაც ოქტაგონის თავზე, ვინაიდან ევაგრიუსის 560 წლის ცნობით ტაძრის შუა ნაწილი წარმოადგენდა „ეზოს (ღია) ცის ქვეშ“ (C. Mango, Byzantine Architecture, გვ. 79, 352, შენ. 21). ე. ბ. სმიტი თვლის, რომ ევაგრიუსის „ცა“ სიმბოლურად გულისხმობს გუმბათს (E. B. Smith, The Dome, გვ. 35). იხ. აგრეთვე R. Krautheimer, Early Christian..., გვ. 500, შენ. 26.

<sup>82</sup> J. Strzygowski, Amida, სურ. 139; E. B. Smith, The Dome, გვ. 125, 127-128, ნახ. 197; R. Krautheimer, Early Christian..., გვ. 164, ილ. 114.

<sup>83</sup> მთლიანად განადგურებული შენობის რეკონსტრუქციის საფუძველია რიტორ ქორიკიუსის 536 წლის აღწერა. იხ.: Ch. Diehl, Manual, გვ. 100, 185; E. B. Smith, The Dome, გვ. 39-40 (ფიქრობს, რომ ეს ტაძარი უნდა იყოს გაზას პირველი ეკლესია, ცნობილი ევდოქსიანა, აგებული 407 წელს არქიტექტორ რუფინუსის მიერ); R. Krautheimer, Early Christian..., გვ. 266. ჯ. უ. კროუფუტი ქორიკიუსის მონაცემებით ასკვნის, რომ ტაძრის ცენტრალურ კვადრატს ხურავდა გუმბათი აფრებზე (J. W. Crowfoot, Early Churches in Palestine, London, 1941, გვ. 105). ე. ჰ. სვიფტის აზრით, აქ იყო „a structure of the merging pendentive type“, ე. ი. არსებითად აფრული კამარა (E. H. Swift, Roman Sources, გვ. 114).

<sup>84</sup> E. B. Smith, The Dome, გვ. 118, ნახ. 49. შდრ. დეტაილერისა და კროუფუტის რეკონსტრუქციას, რომელიც უფრო მიღებულია (J. W. Crowfoot, Early Churches, gv. 94-95; E. H. Swift, Roman Sources, გვ. 45, ნახ. 43; C. Mango, Byzantine Architecture, ილ. 93).

<sup>85</sup> E. B. Smith, The Dome, ნახ. 54 (ე. ლასდუსის გეგმა, რომელზეც ცენტრალური კვადრატის კუთხეებში ნაჩვენებია ტრომპები).



გუმბათის, არამედ ხის გადახურვის დასაფუძნებლად (ქვის გუმბათი, შესაძლოა, ჰქონოდა მხოლოდ მერიამლიკს, იხ. შენიშვნა 78). შესაბამისად, უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველთვის გამოიყენებოდა საფეხუროვანი სქემა (ასეც არის სხვადასხვა გრაფიკულ რეკონსტრუქციებში). აქვე შევნიშნავ, რომ ამ რეგიონის ერთადერთ დიდ ადრეულ ეკლესიაში, რომელმაც აგურის გუმბათის ნაშთი შეინარჩუნა – ყასრ-იბნ-ვარდანში (561-564 წწ., ჩრდილო-აღმოსავლეთ სირია) გადასვლა აფრულია<sup>86</sup> და არა ტრომპული, როგორც ამას არასწორად უთითებს ზოგი ავტორი<sup>87</sup>.

ეგვიპტის ქრისტიანულ არქიტექტურაში ტრომპის უადრესი შემორჩენილი მაგალითი გვაქვს ბაპტისტერიუმში აბუ მინას ეკლესიასთან მარუტის უდაბნოში, ალექსანდრიის მახლობლად (400-410 წწ.)<sup>88</sup>. ტრომპები გვხვდება სოჰაგის ორ ცნობილ მონასტერშიც – თეთრსა (დეირ ელ აბიადი, 440 წ.) და წითელში (დეირ ელ აჰმარი, VI ს.). წითელ მონასტერში 1920-იან წლებამდე შემონახული იყო თავდაპირველი გუმბათქვეშა კონსტრუქცია და ნაწილობრივ გუმბათის მრგვალი ყელიც. აქ განხორციელებული იყო წრექმნადი სქემა დიდი ტრომპებით და მათ აქეთ-იქით აფრული სამკუთხა მონაკვეთებით<sup>89</sup>. თეთრ მონასტერში მთელი გადახურვა მოგვიანებით (რ. კრაუტჰაიმერის მიხედვით – XI ს-ში) არის განახლებული<sup>90</sup>. ამ დროს აღდგა გუმბათი საკურთხევლის ტრიკონქზე და დამატებით გაკეთდა კიდევ ხუთი – სამი დიდი და ორი პატარა – გუმბათი ტრანსეპტზე. ყველა, გარდა განაპირა სამხრეთისა, ტრომპებს ეყრდნობა. სქემა აქაც ყველგან წრექმნადია.

ტრომპულ სისტემას ეგვიპტეში არაბთა დაპყრობების შემდეგაც იყენებდნენ – ამას, გარდა თეთრი მონასტრის განახლებული ნაწილისა, მოწმობს სხვა კოპტური ეკლესიებიც (დეირ ეს სურიანი და დეირ ბარამუსი ნათრუნის ხეობაში, ამბა-ბიშიაი, ასუანის დეირ სიმანი – IX-XII სს.<sup>91</sup>).

მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროსა (გგულისხმობ კონსტანტინოპოლსაც შემოგარენით) და საბერძნეთის არქიტექტურაში ტრომპი ადრეულ შუა საუკუნეებში არ იხმარება. საეკლესიო მშენებლობაში ის

<sup>86</sup> ეს კარგად ჩანს ჭრილზე, იხ.: H. C. Butler, *Early Churches*, სურ. 178; C. Mango, *Byzantine Architecture*, გვ. 151, ილ. 156, 158; აგრეთვე Г. Чубинашвили, Цроми, გვ. 62, 103 (შენ. 124). გ. ჩუბინაშვილიცა და ს. მანგოც ყასრ-იბნ-ვარდანის გადახურვას ახასიათებენ, როგორც აფრულ-გუმბათურ კამარას. აფრებს უთითებენ აგრეთვე ი. სტრიგოვსკი (J. Strzygowski, *Kleinasien*, გვ. 125) და შ. დილი (Ch. Diehl, *Manual*, გვ. 100).

<sup>87</sup> R. Krautheimer, *Early Christian...*, გვ. 261; G. Stanzl, *Längsbau und Zentralbau*, გვ. 96.

<sup>88</sup> E. H. Swift, *Roman Sources*, გვ. 104; G. Stanzl, *Längsbau und Zentralbau*, გვ. 96.

<sup>89</sup> J. Strzygowski, *Kleinasien*, გვ. 112-113, სურ. 81; მისივე, *Amida*, სურ. 105; Ch. Diehl, *Manual*, გვ. 63-64, სურ. 18; R. Krautheimer, *Early Christian...*, გვ. 124; H.-G. Evers, R. Romero, *Rotes und Weißes Kloster bei Sohag - Probleme der Rekonstruktion, Christentum am Nil, Recklinghausen*, 1964, გვ. 188, ტაბ. 81 (აჩვენებს კუთხის ბრტყელზღუდარებიან ახალ ბეტონის გუმბათს, რომელმაც 1920-იან წლებში შეცვალა ძველი თავისი ტრომპებიანად), 82 (ძველი ფოტო, რომელზეც ჩანს თავდაპირველი კონსტრუქცია).

<sup>90</sup> J. Strzygowski, *Kleinasien*, გვ. 112-114, სურ. 82 (სხვათა შორის, თეთრი მონასტრის გუმბათის ყელისა და ტრომპების მსგავს კონსტრუქციად ასახელებს საფარის წმ. საბას ეკლესიის კარიბჭის გუმბათს! – გვ. 112, შენ. 3); Ch. Diehl, *Manual*, გვ. 63-64, სურ. 18; R. Krautheimer, *Early Christian...*, გვ. 121-124, ილ. 71; H.-G. Evers, R. Romero, *Rotes und Weißes Kloster*, გვ. 175-194, ტაბ. 84, ნახ. E, F, I, O, S.

<sup>91</sup> Ch. Diehl, *Manual*, გვ. 63-64 (ყველა ამ ნაგებობას VI საუკუნისად მიიჩნევს); Г. Чубинашвили, Цроми, გვ. 63, 105 (შენ. 144); R. Krautheimer, *Early Christian...*, გვ. 320-324, 516 (შენ. 11-18).

ჩნდება, როგორც ჩანს, X ს-ის ბოლოდან და ფართოდ ვრცელდება XI ს-ში. შეიძლება დავასახელოთ შუაბიზანტიური ხანის რამდენიმე მეტნაკლებად კარგად შემონახული ტრომპებიანი ეკლესია: ფოკიდის კოზიოს ლუკასის კათოლიკონი (XI ს-ის I ნახევარი)<sup>92</sup>, ათენის პანაგია ლიკოდემუ (1044 წ.)<sup>93</sup>, ნეა მონი კ. ქიოსზე (1045 წ.)<sup>94</sup>, კუნძულ ჰეიბელიადის (ქალკის) პანაგია კამარიოტისა (XI ს.)<sup>95</sup>, ქრისტიანუს ტრიფილია პელოპონესზე (1086 წ-მდე)<sup>96</sup>, დაფნი (XI ს-ის ბოლო)<sup>97</sup>, ქრიზოსტომოსის მონასტრის კათოლიკონი კვიპროსზე (1090 წ.)<sup>98</sup>. შესაძლოა, ტრომპებიანი ყოფილიყო კონსტანტინოპოლის ორი ამჟამად არარსებული ნაგებობაც – პერიბლეპტოსი (1028-1034 წწ.)<sup>99</sup> და მანგანის წმ. გიორგის ეკლესია (1042-1054 წწ.)<sup>100</sup>.

შუაბიზანტიური ტრომპული სისტემა წრეჭმნად სქემაზეა აგებული. კუთხის უზარმაზარი ტრომპები გვერდით თაღებთან ერთად ჰქმნიან ტოლგვერდა რვაკუთხედს. მას, ს. მანგოს გამოთქმით, „ეფუძნება მრგვალი გვირგვინი (corona), რომელიც შეიძლება აღიწეროს, როგორც რვა შეერთებული აფრა“<sup>101</sup>.

უკვე XII ს-იდან საბერძნეთის (და ასევე კონსტანტინოპოლის) არქიტექტურაში წამყვანი ადგილი კვლავ აფრულმა კონსტრუქციამ დაიკავა, მაგრამ ტრომპები აქა-იქ შემდგომაც გვხვდება – მონემვასიის აია სოფიაში (XII-XIII სს.)<sup>102</sup>, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში კოპაისის ტბასთან (XIII ს-ის ბოლო)<sup>103</sup>, მისტრას წმ. თეოდორეში (1290-1296 წწ.)<sup>104</sup>. ტრომპულად მიიჩნევენ არტას პარიგორიტისას (1283-1296 წწ.) მეტად თავისებურ გუმბათქვეშა სისტემასაც<sup>105</sup>. ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ ტრომპები შემორჩა ატიკის საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში, ძირითადად როგორც გარდამავალი ელემენტი მართკუთხა საფუძველზე კონქის გამოსაყვანად<sup>106</sup>, თუმცა არის მისი გუმბათქვეშ გამოყენების შემთხვევებიც (ხასიის წმ. პეტრე, XVII ს.)<sup>107</sup>.

<sup>92</sup> Ch. Diehl, *Manual*, გვ. 449; R. Krautheimer, *Early Christian...*, გვ. 356, 408-411, ილ. 297-298, 344-345; C. Mango, *Byzantine Architecture*, გვ. 222, ილ. 232, 243.

<sup>93</sup> M. Rimpler, *La coupole dans l'architecture byzantine et musulmane*, Strasbourg, 1956, ნახ. 143; R. Krautheimer, *Early Christian...*, გვ. 431; C. Mango, *Byzantine Architecture*, გვ. 222, ილ. 245.

<sup>94</sup> Ch. Diehl, *Manual*, გვ. 449-450, 463; R. Krautheimer, *Early Christian...*, გვ. 356, 386-388, ილ. 296, 318-319; C. Mango, *Byzantine Architecture*, გვ. 216, 219, ილ. 239-240.

<sup>95</sup> C. Mango, *Byzantine Architecture*, გვ. 222, 224, ილ. 250.

<sup>96</sup> Ch. Diehl, *Manual*, გვ. 449; R. Krautheimer, *Early Christian...*, გვ. 431; C. Mango, *Byzantine Architecture*, გვ. 222.

<sup>97</sup> Ch. Diehl, *Manual*, გვ. 449, 463; R. Krautheimer, *Early Christian...*, გვ. 356-357, 414, ილ. 351; C. Mango, *Byzantine Architecture*, გვ. 222, 224, ილ. 246.

<sup>98</sup> C. Mango, *Byzantine Architecture*, გვ. 219.

<sup>99</sup> Ch. Diehl, *Manual*, გვ. 448.

<sup>100</sup> C. Mango, *Byzantine Architecture*, გვ. 231.

<sup>101</sup> იქვე, გვ. 219.

<sup>102</sup> Ch. Diehl, *Manual*, გვ. 449 (ათარიღებს XII ს-ით); R. Krautheimer, *Early Christian...*, გვ. 441-442 (1287 წ. შემდგომი ხანა); C. Mango, *Byzantine Architecture*, გვ. 222 (XII ს. კითხვის ნიშნით).

<sup>103</sup> G. Millet, *L'Ecole greque dans l'architecture byzantine*, Paris, 1916, გვ. 106.

<sup>104</sup> Ch. Diehl, *Manual*, გვ. 449, 766, 775; R. Krautheimer, *Early Christian...*, გვ. 441, 446.

<sup>105</sup> Ch. Diehl, *Manual*, გვ. 776-777, სურ. 382; R. Krautheimer, *Early Christian...*, გვ. 441-444, ილ. 371-373; C. Mango, *Byzantine Architecture*, გვ. 265-266, ილ. 281, 283.

<sup>106</sup> T. Tanoulas, *Aghioi Anargyroi of Kolokynti at Athens*, in: *Churches in Greece: 1453-1850*, Athens, 1982 (ბერძ. ენაზე, ინგლ. რეზიუმეებით), გვ. 190, სურ. 8 (გეგმები: ათენის აგ.

ტრომპები ფართოდ გამოიყენება დასავლურქრისტიანულ არქიტექტურაშიც. უკვე V საუკუნიდან ისინი გვხვდება იტალიაში – ნეაპოლის სან ჯოვანი ინ ფონტეს ტაძრის ბაპტისტერიუმში (465-481 წწ.)<sup>108</sup>, პადუას სან პროსდოკიმოსა და ვიჩენცას სანტა მარია მატერდომინის ეკლესიებში (ორივე – V ს-ის ბოლო)<sup>109</sup>, მოგვიანებით მილანის სან სატიროში (875 წ.)<sup>110</sup>. ტრომპი დამკვიდრდა X საუკუნიდან მკვეთრად გაცხოველებულ საეკლესიო მშენებლობაში და იტალიის, ესპანეთის, საფრანგეთისა და გერმანიის ათეულობით რომანული ტაძრის გარდამავალ კონსტრუქციად იქცა. რომანულ არქიტექტურაში – დასრულდა 1034 წ.<sup>111</sup>, ლოარის ციხე-სიმაგრის კაპელა არაგონში – XI-XII სს-თა მიჯნა<sup>112</sup>, ტურნაუს სენ ფილიბერი ბურგუნდიაში – გუმბათის კონსტრუქცია XII ს.<sup>113</sup>, პიზას კათედრალი – გუმბათის კონსტრუქცია 1121-1150 წწ.<sup>114</sup>, ორსარას სანტ ანჯელო აპულიაში – XII ს.<sup>115</sup>, მასტრიხტის სინტ-სერვაციუსის სამეფო დარბაზი – 1160-1180 წწ.<sup>116</sup>, ისე საფეხუროვანი სქემა – მეტწილად რვანაწილიანი შეკრული კამარით (ბარსელონის სანტ ლორენს დელ მუნ დე ვალე – 1064/66 წწ.<sup>117</sup>, ლერიდას სანტ ხაიმე დე ფრონტანა კატალონიაში – 1074 წ.<sup>118</sup>, ვერჩელის სან ბერნარდო პიემონტში – XII ს-ის II ნახევარი<sup>119</sup>, ფონგომბოს მონასტრის ეკლესია – XII ს.<sup>120</sup>, ეკლესიის კარიბჭე ნუაიდეს მონასტერში პუატუში – XII ს-ის ბოლო<sup>121</sup>, ბარის სან ნიკოლა აპულიაში – დასრულდა 1196/97 წწ.<sup>122</sup>) ან, უფრო იშვიათად, გუმბათით (რეგენსბურგის კათედრალის Allerheiligenkapelle ბაიერნში – XII ს.<sup>123</sup>). ტრომპები გვხვდება გოთიკურ არქიტექტურაშიც, ძირითადად როგორც კვადრატული გეგმის კოშკზე რვაწახნაგა პირამიდული სახურავის მორგების საშუალება (ლიმბურგ-ან-დერ-ლანის კათედრალი – 1235 წ.<sup>124</sup>).

ანარგირი, პანტანასას მონასტერი, პანაგია რობა, სალამინის წმ. ნიკოლოზი, მენიდის წმ. იოანე და სხვა).

<sup>107</sup> იქვე, სურ. 8 (გეგმაზე ჩანს ხუთი გუმბათი, ყველა ტრომპებზე).

<sup>108</sup> E. H. Swift, *Roman Sources*, გვ. 104; J.-L. Maier, *La Baptistère de Naples et ses mosaïques*, Fribourg, 1964, ტაბ. VI, VIII; R. Krautheimer, *Early Christian...*, გვ. 187.

<sup>109</sup> E. H. Swift, *Roman Sources*, გვ. 104. ტრომპულად მიიჩნევენ რავენის სან ვიტალეს (540-იანი წწ.) ცენტრალური ოქტოგონის კუთხეებში გამოყვანილ ბრტყელ კონსტრუქციასაც (E. H. Swift, იქვე; Г. Чубинашвили, Цроми, გვ. 64).

<sup>110</sup> H. E. Kubach, *Romanesque Architecture*, New York, 1975, გვ. 52, ტაბ. 47.

<sup>111</sup> H. Decker, *Romanesque Art in Italy*, Wien, 1958, გვ. 74, ტაბ. 221.

<sup>112</sup> H. E. Kubach, *Romanesque Architecture*, გვ. 378, ტაბ. 269.

<sup>113</sup> R. Oursel, *Bourgogne Romane, Zodiaque, La Pierre-qui-Vire*, 1979, ტაბ. 19.

<sup>114</sup> H. Decker, *Romanesque Art*, ტაბ. 59.

<sup>115</sup> M. M. Lovecchio, S. Angelo Orsara, *Insedimenti Benedettini in Puglia*, vol. II, t. I, Bari, 1981, სურ. 96.

<sup>116</sup> H. E. Kubach, *Romanesque Architecture*, გვ. 248, ტაბ. 291.

<sup>117</sup> იქვე, გვ. 128, ტაბ. 143.

<sup>118</sup> იქვე, გვ. 138, ტაბ. 138.

<sup>119</sup> იქვე, გვ. 344, ტაბ. 406.


<sup>120</sup> J. Favière, *Dom J. De Bascher, Berry Roman, Zodiaque, La Pierre-qui-Vire*, 1970, ტაბ. 41.

<sup>121</sup> R. Oursel, *Haut Poitou Romane, Zodiaque, La Pierre-qui-Vire*, 1975, ტაბ. 9.

<sup>122</sup> C. A. Willemsen, D. Odenthal, *Puglia - Terra dei Normanni e degli Svevi*, Bari, 1966, ტაბ. 182; H. Decker, *Romanesque Art*, ტაბ. 182.



<sup>123</sup> H. E. Kubach, *Romanesque Architecture*, გვ. 366, ტაბ. 427.

<sup>124</sup> იქვე, გვ. 250, ტაბ. 297-298.



სურ. 4. ტრომეები რომანულ  
არქიტექტურაში.  
ზემოთ:  
ნუაიეს ეკლესიის კარიბჭე;  
ქვემოთ:  
ტურნიუს სენ-ფილიბერი





სურ. 5. ხედი გუმბათქვეშა კონსტრუქციაზე.  
ზემოთ: სიერიპისარი; ქვემოთ: ხანძთის წმ. გიორგი.

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდანაც ჩანს, საქართველოში ცნობილი ტრომპული კონსტრუქციები ყველაზე ახლო ანალოგიებს პოეებს სომხეთის, ტურ აბდინისა და კაპადოკიის არქიტექტურაში, რომელშიც, ქართულის მსგავსად, უპირატესობა ენიჭება საფეხუროვან სქემას გუმბათის რვაწახნაგა ყელით. მსგავსია ტრომპების ფორმები და არქიტექტურული გადაწყვეტის საერთო ხასიათი. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ამ ქვეყნებში – ისევე, როგორც საქართველოში – მიღებული ჩანს ტრომპების მეორე რიგის გამოყვანა ყელის ზედა კუთხეებში, მის თექვსმეტწახნაგად გადასაქცევად და, ამდენად, წრესთან უფრო დასაახლოებლად. ქრისტიანული სამყაროს სხვა ქვეყნებში, ტრომპების მეორე რიგს, როგორც წესი, არ აკეთებენ<sup>125</sup>.

ადრეული შუა საუკუნეების ქართული და სომხური არქიტექტურის ნათესაობა – პირველ რიგში სწორედ სამშენებლო-ტექნიკური თვალსაზრისით – კარგად ცნობილი ფაქტია და საგანგებო აღნიშვნას არ საჭიროებს. გამორჩეულად უნდა გაესვას ხაზი სიახლოვეს ტურ აბდინთან და კაპადოკიასთან. სამწუხაროდ, ძნელია ამ ფაქტის მნიშვნელობის სრულად შეფასება, ვინაიდან კავკასიისა და წინა აღმოსავლეთის ქვეყნების ქრისტიანულ არქიტექტურათა ურთიერთმიმართების საკითხი ჯერჯერობით არ არის სათანადოდ გამოკვლეული. არადა, მისი საფუძვლიანი შესწავლა უთუოდ გაამდიდრებდა და შესაძლოა, ნაწილობრივ შეცვლიდა ტრადიციულ წარმოდგენას აღმოსავლურქრისტიანული არქიტექტურის ისტორიაზე. აღნიშნული მსგავსება ტრომპული კონსტრუქციების გამოყენებაში, ვფიქრობ, ადასტურებს, რომ საქართველოს, სომხეთის, კაპადოკიისა და ჩრდილოეთ მესოპოტამიის ქრისტიანული ხუროთმოძღვრების გენეზისის პირობები და ადრეული განვითარების გზები მჭიდროდ იყო ურთიერთდაკავშირებული. მათი კონსტრუქციული თავისებურებები განაპირობა როგორც ძლიერმა ადგილობრივმა (ასევე გარკვეულწილად საერთო, ან, ყოველ შემთხვევაში, მონათესავე) სამშენებლო ტრადიციებმა, ისე სასანურ-ირანული ცენტრებიდან მომდინარე ტექნიკურმა სიახლეებმა. კონსტანტინოპოლისა და, ზოგადად, იმპერიული არქიტექტურის გავლენა ამ თვალსაზრისით არაარსებითი იყო.

გუმბათის ყელის სტრუქტურის პრინციპულად ერთნაირი აგება არქიტექტურის ისტორიის თვალსაზრისით უადრესად მნიშვნელოვანი ფაქტორია, გაცილებით მნიშვნელოვანი, ვიდრე ის, რომ, ვთქვათ, ხახში ამ სტრუქტურაზე ელინისტური ყაიდის „გარსია“ დადებული, ხოლო მცხეთის ჯვარსა და ოძუნში – არა. სტრუქტურული ელემენტები ხუროთმოძღვრების ძირეულ არსს ასახავს და ცხადად მიუთითებს მის საწყისებზე, მაშინ როცა მამკობი ელემენტები, პროფილები, ორნამენტული სახეები და ა. შ. შედარებით იოლად შეიძლება იქნას შეთვისებული „სხვა“ არქიტექტურულ სამყაროსთან თუნდაც ზედაპირული შეხების შედეგად.

რა თქმა უნდა, სწორი ისტორიული სურათის მისაღებად, აღნიშნული ქვეყნების ქრისტიანული არქიტექტურის კვლევისას

<sup>125</sup> იშვიათი გამონაკლისები მოიპოვება დასავლურ არქიტექტურაში – მაგალითად, ნეაპოლის სან მიკელეს კათედრალი, Caserta Vecchia (1120-1153 წწ.), სადაც ოქტოგონალური ყელის ზედა კუთხეებში გაკეთებულია რვა პატარა ტრომპი (H. Decker, Romanesque Art, ტაბ. 126).

გათვალისწინებული უნდა იქნას არა მხოლოდ საერთო ტექნიკური და სტრუქტურული თვისებები, არამედ ის თავისებურებებიც, რომლებიც მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს და განსაზღვრავს მათს თვითმყოფადობას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო იქნება შედარებითი ანალიზი ერთი დამაკვეთი არქიტექტურული ფორმების – თუნდაც იმავე ტრომპების – მხატვრული გააზრებისა სხვადასხვა ქვეყნების არქიტექტურაში და ამ გზით სხვადასხვა ეროვნული ფორმათშეგრძნების წარმოჩენა. ამ ამოცანას თავის დროზე საგანგებო ყურადღება დაუთმო გ. ჩუბინაშვილმა, რომლის მთელი სამეცნიერო მემკვიდრეობაც პირველ რიგში სწორედ ქართული ეროვნული არქიტექტურული ფორმის შესწავლას ემსახურება. ამავე ამოცანას ისახავდა ის სომხური არქიტექტურის კვლევის დროსაც<sup>126</sup>. ამასთანავე, გ. ჩუბინაშვილიც აღნიშნავდა ქართული და სომხური ხუროთმოძღვრების სიახლოვეს ადრეულ ეტაპზე: „ქრისტიანული არქიტექტურის განვითარების საწყის პერიოდში საქართველოსა და სომხეთში საერთო, მსგავსი პირობები იყო, რის გამოც აღინიშნება მხატვრულ თემათა და გადაწყვეტათა მნიშვნელოვანი მსგავსება“<sup>127</sup>. ბოლოხანს ქართული და სომხური არქიტექტურის ურთიერთმიმართების საკითხს ახალი კუთხით შეეხო გ. ყიფიანი, რომელიც ყურადღებას ამახვილებს განსხვავებაზე ერთი მხრივ სომხეთისა და მეორე მხრივ კოლხეთ-იბერიის ქრისტიანობამდელ სატაძრო ხუროთმოძღვრებას შორის და ფიქრობს, რომ „გამიჯნული დარჩა ისინი (სომხური და ქართული სკოლები) ადრექრისტიანულ ხანაში... საწყისი წერტილები ქრისტიანული არქიტექტურისათვის ამ უძველეს რეგიონებში სხვადასხვა იყო“<sup>128</sup>. რამდენადაც გ. ყიფიანი ძირითადად მსჯელობს ზოგადი არქიტექტურული თემების და კერძოდ, გეგმის კომპოზიციების თაობაზე, მისი დასკვნაც, პირველ რიგში, ამ მონაცემების შესწავლას ეფუძნება. სამშენებლო ტექნიკისა და კონსტრუქციების შედარებითი ანალიზი, ვფიქრობ, განსხვავებული დასკვნის გამოტანის საფუძველს იძლევა.

სხვადასხვა ქვეყნებში შემონახული ტრომპების უამრავი ნიმუში თვალნათლივ მოწმობს ამ კონსტრუქციის მდგრადობას. ამასთან, მათზე უბრალო თვალის გადავლებითაც კი ნათლად ჩანს, თუ რაოდენ მდიდარი და მრავალფეროვანი აღმოჩნდა ტრომპულ კონსტრუქციების მხატვრული გააზრების შესაძლებლობები. თუმცა, ზოგი მკვლევარი მაინც საეჭვოდ მიიჩნევს საზოგადოდ ტრომპის კონსტრუქციულ ვარგისიანობასაც და ესთეტიკურ ღირებულებასაც. დ. ტალბოტ რაისი, მაგალითად, წერს, რომ ეს კონსტრუქცია „არ იყო მთლიანად დამაკმაყოფილებელი, ვინაიდან ტრომპების კიდები დაფუძნებული იყო ძირითადი თაღების (spanning arches) შუაზე და, ამდენად, ახდენდა ღერძულ დატვირთვას აშკარად სუსტ წერტილში“<sup>129</sup>. ე. ჰ. სვიფტი – ჯ. რივორას მომხრე თავგამოდებული „რომანისტი“, რომელსაც აღიზიანებს ყველაფერი, რაც კი აღმოსავლურმა არქიტექტურამ წარმოშვა, – ტრომპებს განიხილავს, როგორც კუთხის ზღუდარებიდან

<sup>126</sup> Разыскания-ში (გვ. 6) გ. ჩუბინაშვილს თავისი კვლევის მიზანი განსაზღვრული აქვს, როგორც „სომხურ არქიტექტურაში სპეციფიკურად სომხურის გამოვლენა (выявить специфически армянское в армянской архитектуре)“.

<sup>127</sup> იქვე.

<sup>128</sup> გ. ყიფიანი, კოლხეთისა და იბერიის..., გვ. 86.

<sup>129</sup> D. Talbot Rice, The Byzantines, London, 1962, გვ. 79.

განვითარებულ პრიმიტიულ სისტემას და შემდეგ ეხება მხატვრულ ასპექტს: „პროგრესულმა არქიტექტორებმა დასავლეთში უკვე VI საუკუნეში გააცნობიერეს, რომ ტრომპი, თუნდაც საკმარისად მტკიცე იყოს კონსტრუქციულად, სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი ესთეტიკურად. ტრომპი თავისთავად უშნო (ugly) ფორმაა, ჰარმონიულად ძნელად მოსაგვარებელი ასეთისე დიდი ინტერიერის კომპოზიციაში, და ყოველთვის ინარჩუნებს რაღაცას თავისი პრიმიტიული კუსტარული (makeshift) ხასიათიდან. ამიტომ მისი გამოყენება დასავლეთში შუა საუკუნეების მანძილზე ძირითადად იფარგლება არაპროგრესული სკოლების ნამუშევრებით“<sup>130</sup>. ვფიქრობ, ცხადია, რომ ეს გამონათქვამი არა მხოლოდ სუბიექტურია, არამედ უბრალოდ მცდარიც. ის არ ეფუძნება მასალის სერიოზულ ანალიზს და ასახავს მხოლოდ წინასწარაკვიატებულ ტენდენციურ პოზიციას.

დაახლოებით IX-X საუკუნეთა მიჯნაზე ქართული ეკლესიების კონსტრუქციულ გადაწყვეტაში სიახლე გაჩნდა: ტრომპული სისტემის წრექმნადი სქემის საფუძველზე აღმოცენდა თავისებური კომბინირებული ფორმა, რომელსაც „აფრა-ტრომპს“ ვუწოდებთ. კავშირი მათ შორის სრულიად აშკარაა. წრექმნადი ტრომპული კონსტრუქცია ფორმალურად თავადაც უკვე აფრა-ტრომპულია, ვინაიდან აფრულ ელემენტსაც შეიცავს. ქვემოთ ცალკეული ნაგებობების განხილვისას დავინახავთ, რომ აფრა-ტრომპების ზოგიერთი ადრეული ნიმუში ძალიან ახლო დგას წრექმნადი სქემის ტრომპებთან, იმდენად ახლოს, რომ მათს შორის მკაფიო ზღვარის გავლენაც ჭირს. ზოგად განმასხვავებელ ნიშნად უნდა ჩაითვალოს შემადგენელ ნაწილთა სხვადასხვაგვარი ურთიერთმიმართება: წრექმნადი სქემის ტრომპი მთლიანად განსაზღვრავს გარდამავალი კონსტრუქციის ხასიათს და თავისი აგებულებით არ არის დამოკიდებული აფრულ კომპონენტზე, რომელსაც მეორეხარისხოვანი როლი ენიჭება; აფრა-ტრომპი კი გულისხმობს ტრომპის აფრაში ჩასმას – ისე, რომ მისი არქიტექტურული გადაწყვეტა ითვალისწინებდეს აფრასთან თანაარსებობის პირობებს.




დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ აფრა-ტრომპი პირველად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გაჩნდა. X საუკუნის ბოლომდე ქვეყნის სხვა მხარეებში ეს ფორმა საერთოდ არ ჩანს, ამ დროიდანაც ქართლში, კახეთში, იმერეთსა და აფხაზეთში აფრა-ტრომპების თითო-ოროლა ნიმუში მოიძებნება – მაშინ, როდესაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პროვინციებში მათი რაოდენობა 12-ს აღწევს და ამათგან ნახევარი მაინც 980-იან წლებზე ადრინდელია.

როდის გაჩნდა პირველად აფრა-ტრომპი? დღესდღეობით ჩვენს ხელთ არსებული მასალით ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა შეუძლებელია. უადრეს ჩვენთვის ცნობილ ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ გუმბათქვეშა კონსტრუქცია კინეპოსის მონასტრის მთავარ ეკლესიაშიც (სავარაუდოდ IX-X სს. მიჯნა) ის ამჟამად ჩანგრეულია, მაგრამ ჩანს ძველ ფოტოსურათზე<sup>131</sup>. აქ გაკეთებული იყო მხოლოდ ოთხი ძირითადი ტრომპი (მეორე რიგის მოწყობა არ დასჭირვებიათ გუმბათის მცირე დიამეტრის გამო). აფრულ მონაკვეთებს საკმაოდ მცირე ადგილი


<sup>130</sup> E. H. Swift, Roman Sources, გვ. 105.

<sup>131</sup> В. Беридзе, Архитектура Тао-Кларджети, Тбилиси, 1981, ტაბ. 36.





სურ. 6. აფრა-ტრომეები ტაო-კლარჯეთის არქიტექტურაში.  
ზემოთ: მარცხნივ – დოლისყანა, მარჯვნივ – შატბერდი;  
ქვემოთ: ხახული.



სურ. 7. მშვი. აფრა-ტრომპი.

უკავიათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთი შეხედვით გარდამავალი კონსტრუქცია აღიქმება, როგორც აფრული<sup>132</sup>.

ფოტოსურათით გვიწევს მსჯელობა ოპიზის მონასტრის მთავარი ეკლესიის (945-954 წწ-ის რეკონსტრუქცია) გადახურვის შესახებაც<sup>133</sup>. მასზე კარგად ჩანს, რომ უშუალოდ ძირითად ტრომპებს ზემოთ გაკეთებულია ორ-ორი მცირე ტრომპი. დარჩენილი მონაკვეთი წარმოადგენს რთული კონფიგურაციის აფრულად მრუდხაზოვანი კედლის ზოლს.

მწირი მასალა არ გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ კინეპოსისა და ოპიზის აფრა-ტრომპების კონსტრუქციული თავისებურებანი, კერძოდ განვსაზღვროთ, თუ რამდენად ფუნქციურია მათში ტრომპები. ამ საკითხის ცხადად გარკვევა მხოლოდ „ცოცხალ“ არქიტექტურაზე დაკვირვებით ხერხდება. უადრესი ზუსტად დათარიღებული ნიმუში, რომელიც დღემდე შემონახა და ადგილზე შეიძლება იქნას შესწავლილი, დოლისყანის ეკლესიაა (937-958 წწ.)<sup>134</sup>. აგებულებით მისი დიდი ტრომპები ოპიზისას წააგავს, მაგრამ დოლისყანაში მკვეთრად არის გაზრდილი აფრული მონაკვეთების ფართობი. აქ ისინი ვიწრო სეგმენტები კი არ არის, არამედ განვითარებული სიბრტყეებია, რომლებიც გუმბათქვეშა თაღებს ზემოთ ებმიან ერთმანეთს და ოთხნაწილიან წრიულ გვირგვინს ქმნიან. მცირე ტრომპები დოლისყანაში იმდენად დაპატარავებულია, რომ პაწია დეკორაციულ ფუნქციას წააგავს. მიუხედავად აფრების როლის ასეთი გაზრდისა, დოლისყანის ეკლესიაში დიდი ტრომპები ინარჩუნებენ თავიანთ ძირითად კონსტრუქციულ დანიშნულებას. მეტიც, გარკვეულად ფუნქციურია მცირე ტრომპებიც – კედლის პატარა მონაკვეთები მათს ზემოთ ასევე სწორხაზოვანია. თავისებურება აქ ის არის, რომ ეს სწორი კედლები როგორც დიდი, ისე მცირე ტრომპების თავზე აფრულ ელემენტთან იოლად შესათავსებლად წინ არის დახრილი, რაც აიოლებს კუთხის საბოლოო მომრგვალებას უკვე აფრის მეშვეობით.

X ს-ის შუახანებისა და II ნახევრის სამი, ამჟამად დანგრეული ეკლესიის – ჯავახეთის წყაროსთავის, ზეგანისა და სოლომონკალას გუმბათქვეშა გარდამავალი სისტემის შესახებ ჩვენ გარკვეული წარმოდგენა გვაქვს ე. თაყაიშვილის 1902 წლის ექსპედიციის მასალების წყალობით. ს. კლდიაშვილის მიერ შესრულებულ ჭრილებზე სამივე ნაგებობაში სქემატურად ნაჩვენებია აფრა-ტრომპები<sup>135</sup>.

ჩინებულ მდგომარეობაში მოატანა ჩვენს დრომდე ხახულის ტაძარმა (950-70-იანი წწ.)<sup>136</sup>, რომლის გუმბათქვეშა სისტემა აფრა-

<sup>132</sup> დამახასიათებელია, რომ ა. კალგინის ანაზომის მიხედვით შესრულებულ ჭრილზე ნაჩვენებია წმინდა აფრული გადასვლა, ტრომპები საერთოდ არ არის დატანილი (ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი, ტაბ. 22-ც).

<sup>133</sup> А. Павлинов, Экспедиция на Кавказ 1888 года, ტაბ. XXX; N. et J.-M. Thierry, Notes d'un nouveau voyage en Géorgie turque, Bedi Kartlisa: Revue de kartvelologie, vol. XXV, 1968, გვ. 28.

<sup>134</sup> W. Djobadze, Early Medieval Georgian Monasteries in Historic Tao, Klardjet'i and Šavšet'i, Stuttgart, 1992, ტაბ. 75; დ. ხოშტარია, შავშეთ-კლარჯეთის ეკლესიები, ლიტერატურა და ხელოვნება, 1998, №2, გვ. 64, სურ. 3.

<sup>135</sup> Е. Такайшвили, Христианские памятники. Экскурсия 1902 года, Материалы по археологии Кавказа, вып. XII, Москва, 1909, ნახ. 25 (წყაროსთავი), 39 (ზეგანი), 54 (სოლომონკალა). ზეგანში შემორჩა სამხრეთ-დასავლეთ გუმბათქვეშა კუთხის ქვედა ნაწილი, რომლის მიხედვითაც შეიძლება დავასკვნათ, რომ ტრომპები ნახევარკონუსური უნდა ყოფილიყო.

<sup>136</sup> Е. Такайшвили, Археологическая экспедиция 1917-го года, ტაბ. 97<sup>2</sup>; W. Djobadze, Early Medieval..., ტაბ. 197-198.



ტრომპების ევოლუციის შემდგომ საფეხურს გვიჩვენებს. ტრომპების გეომეტრიული ფორმა შეიცვალა – ისინი კონუსურ სეგმენტებად იქცნენ. მათი ზედაპირი რთულად არის დანაწევრებული. ძირითად ნაწილს ფარავს მარაოსებრ გადაშლილი კოვზისებრი ღრმულები. სამ აფრაზე ცხრა-ცხრა ასეთი ელემენტია, რომლებიც ნიჟარისებრ ზედაპირს ქმნიან, მეოთხეზე (ჩრდილო-დასავლეთისაზე) – სამი. ტრომპები შემოფარგლულია პროფილირებული რკალური სარტყლების სახის მქონე მშვილდა თაღებით. უშუალოდ მათ ზემოთ კუთხეებში ჩასმულია მეორე რიგის ორ-ორი კონქური (მეოთხედსფერული) ტრომპი. აფრულ ნაწილს ძალიან მცირე ადგილი უკავია, მაგრამ ტექნიკური შესრულების ძალიან მაღალი ხარისხის წყალობით, უაღრესად ზუსტად და ეფექტიანად „მუშაობს“. მიუხედავად ტრადიციული ფორმის შეცვლისა, ხახულში ტრომპები კვლავ ინარჩუნებენ კონსტრუქციულ როლს – ისინი კუთხეებს „აჭრიან“ გუმბათქვეშა კვადრატს და არატოლფერდა ოქტოგონს ქმნიან.

ამრიგად, კინეპოსთან, ოპიზასა და დოლისყანასთან შედარებით ხახულის აფრა-ტრომპებში ორი მნიშვნელოვანი სიახლე იჩენს თავს:

1. ტრომპი აღარაა ნახევარკონუსური, ის ბრტყელდება და მსუბუქად შეზნექილ სეგმენტურ ზედაპირს იძენს, ე. ი. ძლიერდება მისი დაქვემდებარება აფრისადმი (თუმცა ხახულში ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს კონსტრუქციული ფუნქციის გადაგვარებას).

2. ტრომპი აღარაა გლუვი, ის მთლიანად იფარება კვეთილი მორთულობით და ინტერიერის დეკორაციული შემკულობის ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტად იქცევა.

როგორც ჩანს, დაახლოებით ხახულის მსგავსი აფრა-ტრომპები უნდა ყოფილიყო ექექის აწ მთლიანად განადგურებულ ეკლესიაშიც (950-60-იანი წწ.). ი. ზდანევიჩის ერთადერთ ფოტოსურათზე, რომელიც ტრომპის ქვედა ნაწილს ასახავს, ჩანს ნიჟარისებრი დამუშავება<sup>137</sup>. გეგმის ნახაზზე დატანილია როგორც დიდი, ისე მცირე ტრომპების პროექცია.

ოშკის მონასტრის დიდ ტაძარში (963-973 წწ.)<sup>138</sup> უზარმაზარი, თითო ქვაში ნაკვეთი ტრომპების ზედაპირი ასევე გაფორმებულია მარაოსებრ გაშლილი კოვზისებრი ელემენტებით, ოღონდ ხახულის შებრუნებული ვერსიით – სამ ტრომპზე სამ-სამი „კოვზია“, ერთზე (სამხრეთ-დასავლეთისაზე) – ცხრა. ტრომპები თითქმის მთლიანად ფარავს აფრების ზედაპირს და – რაც მთავარია – არსებითად მიჰყვება მას, მხოლოდ ოდნავ არის შუაში შედრმავებული. მათ შესახებ უფრო „აფრებზე დატანილი“ ითქმის, ვიდრე „აფრებში ჩასმული“. ბუნებრივია, ისინი არცერთ დონეზე არ ქმნიან წახნაგებს, კონსტრუქციულად უფუნქციონი არიან.

ამრიგად 960-70-იანი წლებიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქიტექტურაში იკვეთება გარკვეული ტენდენცია: ხახულში ტრომპმა კონუსური სეგმენტის სახე მიიღო და კვეთილი მორთულობით დაიფარა, ოშკში კი კონსტრუქციული დანიშნულებაც დაკარგა, აფრის ზედაპირს დაექვემდებარა და მის სამკაულად იქცა. თითქოს აშკარად ჩანს აფრა-ტრომპის შემადგენელი ტრომპული ნაწილის თავდაპირველი ტექნიკური

<sup>137</sup> I. Zdanevitch, L'itineraire georgien de Ruy Gonzales de Clavijo et les eglises aux confins de l'Atabegat, Paris, 1966, გვ. 19.

<sup>138</sup> E. Такашвили, Археологическая экспедиция 1917-го года, ტაბ. 61, 63<sup>4</sup>; W. Djobadze, Early Medieval..., ტაბ. 124, 129.



არსის დაკარგვისა და გადევორაციულების პროცესი, რომელიც ლოგიკურად უნდა დასრულდეს ტრომპის სრული გადაგვარებით. მაგრამ ასე არ მომხდარა. ოშკის შემდეგ აფრა-ტრომპების ევოლუციის ხაზი ტეხილს აკეთებს და მოულოდნელ მიმართულებას იღებს. ამ შემობრუნების თვალსაჩინო ილუსტრაციაა ტბეთის ტაძარი. მისი გუმბათქვეშა სისტემა (ახლა ჩანგრეულია, მაგრამ ჩანს ა. პავლინოვის 1888 წლის ფოტოსურათზე<sup>139</sup>) ამოყვანილია შენობის მესამე ან მეოთხე რეკონსტრუქციისას, X ს-ის მიწურულს ან XI ს-ის I ნახევარში.<sup>140</sup> მიუხედავად ამისა, ის უფრო არქაულად გამოიყურება, ვიდრე ხახულისა და, მითუმეტეს, ოშკის აფრა-ტრომპები. ტბეთში კონსტრუქცია მკაფიოდ იყოფა აფრულ და ტრომპულ ნაწილებად. ტრომპი კვლავ დაპატარავდა და შესამჩნევად შეღრმავდა. მცირე ტრომპები ფოტოზე არ ჩანს, მათ ადგილას დიდი ტრომპების აქეთ-იქით ჩასმულია ცერად ჩაკვეთილი, წინა მხრიდან რკალურად მრუდხაზოვანი ქვები, რომლებიც თითქოს ზღუდარებივით დევს.

აგებულებითა და საერთო ხასიათით ტბეთისას მიაგავს შატბერდის (ახლანდელი ენი-რაბათი, X-XI სს-თა მიჯნა) მონასტრის ეკლესიის გუმბათქვეშა კონსტრუქციაც<sup>141</sup>. აფრებში ჩასმულ ყოველ ტრომპს ზემოდან შემოწერს სარტყელი, რომელიც ტრომპული ფორმის შემადგენელი ნაწილია და კონუსურად მრუდხაზოვან რკალს წარმოადგენს. ყველა ტრომპი სხვადასხვაგვარად არის მორთული კვეთილი ჩუქურთმით.

აფრა-ტრომპების უკანასკნელი ნიმუში ტაო-კლარჯეთში და, ალბათ, მთელ საქართველოშიც შემოგვინახა იშხნის ტაძარმა<sup>142</sup>. ის გაკეთებული უნდა იყოს 1032 წელს დასრულებული ბოლო დიდი რეკონსტრუქციის დროს. ტრომპები ისევ გაბრტყელდა, თუმცა კვლავ ფუნქციურია. ისინი დამუშავებულია ტრადიციული ნიჟარისებრი კვეთილობით, მაგრამ მეტისმეტად დაწვრილმანებულად, უძარღვოდ და არცთუისე ხარისხიანად. მთლიანად გუმბათქვეშა კონსტრუქციის გადაწყვეტა მხატვრულად გაუმართავია, იქმნება შთაბეჭდილება, რომ აფრა-ტრომპები ამ ხუროთმოძღვრებაში უადგილოა, ერთგვარად რუდიმენტულია. როგორც ჩანს, 1020-30-იანი წლებისათვის ამ ფორმის ევოლუცია ჩიხში მოექცა. განვითარებული ცხოველხატული სტილის მოთხოვნებს ის ვეღარ მოერგო.

ამრიგად, 940-იანიდან 1030-იან წლებამდე, თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში, აფრა-ტრომპი არის გუმბათქვეშა გარდამავალი კონსტრუქციის წამყვანი და, საფიქრელია, ერთადერთი სახე ტაო-კლარჯეთის არქიტექტურაში. საქართველოს სხვა მხარეებში აფრა-ტრომპების ნიმუშები ძალზე ცოტაა. ყველაზე განვითარებული სახით მათ ვხვდებით ნიქოზის მთავარანგელოზის ეკლესიაში (X ს. ბოლო). მათი გადაწყვეტა მჭიდრო კავშირს ამჟღავნებს ტაო-კლარჯეთის არქიტექტურასთან. გადმოღებულია ისეთი სპეციფიკური ხერხიც კი, როგორცაა ტრომპების სხვადასხვაგვარი გაფორმება პრინციპით 3+1,

<sup>139</sup> А. Павлинов, Экспедиция на Кавказ, ტაბ. XLIII.

<sup>140</sup> დ. ხოშტარია, შავშეთ-კლარჯეთის ეკლესიები, გვ. 70-72; შეადარე: N. et M. Thierry, La cathédrale de T'beti: Nouvelles données, Cahiers archeologiques 47, 1999, გვ. 83-87.

<sup>141</sup> იქვე, გვ. 68, სურ. 5.

<sup>142</sup> E. Такайшвили, Археологическая экспедиция 1917-го года, ტაბ. 2, 14-15; W. Djobadze, Early Medieval..., ტაბ. 291-292.

თუმცა კი თავისებურად: სამი ტრომპის ზედაპირი ნიჟარისებურად არის დამუშავებული, მეოთხესი გლუვია. საინტერესო მაგალითია ბიჭვინტის ღვთისმშობლის ტაძრის (სავარაუდოდ X-XI სს. მიჯნა) აფრა-ტრომპები, რომლებიც ასევე ენათესავენ ტაო-კლარჯულს. ეს ფაქტი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ მთლიანად ბიჭვინტის ტაძრის ხუროთმოძღვრებას ძლიერი ბიზანტიური გავლენის კვალი ატყვია. იკვის ეკლესიაში (X ს. ბოლო) ნიჟარისებრი კვეთილობა პირდაპირ აფრის ზედაპირზეა გამოკვეთილი. თავად კონსტრუქცია წმინდა აფრულია და აქ მხოლოდ იმიტომ ვახსენებ, რომ მისი დეკორი ასევე უნდა მომდინარეობდეს ტაოური აფრა-ტრომპების მხატვრული გაფორმებისაგან.

ცალკე უნდა ითქვას ჰექსაკონქების შესახებ. აფრა-ტრომპების ანალოგიური კონსტრუქცია გამოყენებულია ამ ტიპის რამდენიმე ეკლესიაში: გოგუბანში (გვიანდელი გოგუბა, X ს. II ნახევარი),<sup>143</sup> ბოჭორმაში (X ს. ბოლო), კაცხში (989-1014 წწ.). ამ რიგში უნდა მოვიხსენიოთ კუმურდოს ტაძარიც (დასრულდა 964 წ.) – შენობა ხუთი აფსიდითა და ერთი მართკუთხა მკლავით. ამ ნაგებობებში გუმბათის საფუძველს წარმოადგენს ექვსკუთხედი, რომელიც, ცხადია, უფრო ახლოსაა წრესთან, ვიდრე კვადრატი და, შესაბამისად, გუმბათის მასზე დაბჯენაც უფრო იოლია. ტრომპი უფრო ბრტყელია, ფართოდ გაშლილი, ვინაიდან მართ კუთხეზე კი არ ზის, არამედ ბლაგვზე, 120°-იანზე. უთუოდ ამ გაშლილობამ უბიძგა გოგუბნისა და კუმურდოს ხუროთმოძღვრებს მათში ფიგურული რელიეფები ჩაესვათ – მართ კუთხეზე გადაყვანილ აფრა-ტრომპებში ასეთი მორთულობა არსად გვხვდება.

XI საუკუნის 30-იანი წლების შემდეგ აფრა-ტრომპი მთლიანად ქრება ქართველ ხუროთმოძღვართა რეპერტუარიდან<sup>144</sup> და აღვივს უთმობს წმინდა აფრულ სისტემას, რომელიც ხუთი ასწლეულის მანძილზე განუყოფლად ბატონობს ჩვენს საეკლესიო არქიტექტურაში. XVI საუკუნიდან აქა-იქ კვლავ იხსენებენ მივიწყებულ ფორმას. ამჯერად ის განსაკუთრებით ფართოდ იკიდებს ფეხს კახეთში, სადაც გუმბათქვეშა კონსტრუქციის ძირითადი სახე ხდება (ახალი შუამთა, გრემის მთავარანგელოზი, მატანის წმ. ნიკოლოზი, შიხიანის აღდგომა, ჭიკაანის კვირაცხოველი, ალვანის სამება, ახატელის ღვთაება, გურჯაანის ქვაშვეთი). სხვა რეგიონებში აფრა-ტრომპების გამოყენებას ეპიზოდური ხასიათი აქვს (ლარგვისის წმ. თევდორე და თბილისის ბეთლემი /„ფეთხაინი“/ ქართლში, ცაიშის წმ. გიორგი და სუჯუნის წმ. გიორგი სამეგრელოში).

აფრა-ტრომპი ცნობილია სომხურ საეკლესიო არქიტექტურაშიც, თუმცა აქ მან ვერ პოვა ისეთი გავრცელება, როგორც საქართველოში. ორი ყველაზე დამახასიათებელი ნიმუში – ჩანგლის ტაძარი<sup>145</sup> და

<sup>143</sup> გოგუბნის ეკლესია ახლა მთლიანად დანგრეულია. მის გუმბათქვეშა კონსტრუქციაზე მსჯელობა შეგვიძლია ე. თაყაიშვილის ექსპედიციის მასალებით: Экскурсия 1902 года, გვ. 74, ნახ. 49, ტაბ. XVI-30. იხ. აგრეთვე: დ. ხოშტარია, შენიშვნები გოგუბნის (გოგუბის) ეკლესიის თაობაზე, ლიტერატურა და ხელოვნება, №3, 1999, გვ. 130-131.

<sup>144</sup> აფრისა და ტრომპის ნაირგვარი ჰიბრიდები და კომბინაციები გვხვდება ქართული ეკლესიების კარიბჭეებსა და სტოებში X-XI საუკუნეებშიც (ოშკი, კაცხი, მანგლისი, სამთავრო) და მერეც (გელათი, ბეთანია, საფარა და სხვა), მაგრამ ისინი განსხვავდება ცენტრალური გუმბათის დასაბჯენი კონსტრუქციებისაგან და, კერძოდ, ზემოთგანხილული სახის აფრა-ტრომპებისაგან.

<sup>145</sup> ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი, ტაბ. 33-34; В. Беридзе, Архитектура Тао-Кларджети, ტაბ. 32.

ანისის ე. წ. წითელი ეკლესია<sup>146</sup> (ორივე XI ს. I ნახევრისა) მჭიდროდ უკავშირდება ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრებას და აფრა-ტრომპის ფორმაც უთუოდ აქედან უნდა იყოს ნასესხები. უფრო თვითმყოფადი სახე აქვს აფრა-ტრომპებს სანაინის მონასტრის ასტვაცაციის ეკლესიაში (960-იანი წწ.)<sup>147</sup>. თავად მოტივი, შესაძლოა, აქაც საქართველოდან არის შესული, მაგრამ სომეხმა ოსტატმა ის თავისი მხატვრული გემოვნების შესაბამისად გაიაზრა და ქართული ნიმუშებისაგან (ასევე ჩანგლისა და „წითელი ეკლესიისაგან“) განხვავებული გადაწყვეტა მოგვცა.

ქრისტიანული სამყაროს სხვა ქვეყნების ხუროთმოძღვრებაში აფრა-ტრომპის პირდაპირი პარალელები თითქმის არ მოიპოვება. ერთ-ერთი უიშვიათეს გამოჩენას წარმოადგენს ტრიესტის კათედრალი სანჯუსტო<sup>148</sup>. აქ დიდ აფრებში ჩასმულია (დაახლოებით იშხნისმაგვარად) თაღით შემოწერილი სეგმენტური ტრომპები. ტაძარი რამდენიმე სამშენებლო ფენას შეიცავს, გუმბათქვეშა კონსტრუქციას მკვლევრები 1000 წლის მომდევნო ხანებით ათარიღებენ. თავისთავად საინტერესოა, რომ ქართული აფრა-ტრომპის მსგავსი ეული ნიმუში დასავლეთ ევროპაში სწორედ XI საუკუნეში ჩნდება და თანაც ტრიესტში – ადრიატიკის ზღვისპირა ნავსადგურში, რომელსაც მჭიდროდ შეხება ჰქონდა ქრისტიანულ აღმოსავლეთთან, თუმცა ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს არქიტექტურული ფორმა საქართველოდან იყოს ჩამოღწეული.

<sup>146</sup> Ani, DAA, 12, 1984, გვ. 95.

<sup>147</sup> Sanahin, DAA, 3, 1970, ნახ. გვ. 14-ზე; О. Халпахчян, Санаин, Москва, 1973, ნახ. გვ. 24-25-ზე, ტაბ. 14-17. ო. ხალფახჩიანი სანაინის ასტვაცაციის 930-იან წლებს აკუთვნებს (იქვე, გვ. 23). ამ აზრს ემხრობა სხვა მკვლევართა უმეტესობაც, მაგრამ, ვფიქრობ, სწორი უნდა იყოს გ. გაგოშიძე, როცა ამ ეკლესიას 960-იანი წლებით ათარიღებს (იხ. მისი წერილი: სანაინის მონასტრის მაცხოვრის ტაძრის თარიღისათვის, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები, II, 1996, გვ. 128).

<sup>148</sup> M. M. Roberti, Il Sacello di San Jiusto a Trieste, Karolingische und Ottonische Kunst, Wiesbaden, 1957, გვ. 193-209, სურ. 69.

**David Khoshtaria**

**UNDER DOME TECHNIQUES IN THE FIFTH-TENTH  
CENTURIES GEORGIAN ARCHITECTURE  
(SQUINCH AND SQUINCH-PENDENTIVE)**

In the early medieval Georgian church architecture squinches are the most customary technique of transition from central square bay to the circular base of dome. Observing several tens of fifth-tenth century Georgian domed churches one should distinguish two ways of application of squinch system. The first, which can be called graded scheme, implies presence of octagonal drum raised over four spanning arches and four big squinches in the corners of central bay. Second row of squinches is made in the upper corners of octagonal drum. In case of need third row of squinches may be arranged as well. Thus, transition to the circle is achieved above a drum, just under a semispherical cupola. The graded scheme appears in Georgian churches as early as in the fifth-sixth centuries (Erelaant Saqdari, Idleti, Shiomgvime, Davitiani), attains technical perfection in the seventh century (Church of the Holy Cross at Mtskheta, Sioni church in Ateni, Tsromi, Samtsevrisi) and remains in use in the eighth-tenth centuries (Gurjaani, Kabeni, Telovani, Isi, Khandzta).

Another scheme of squinch system may conventionally be named circling scheme. It implies transition to the circle beneath a drum, immediately above four main squinches. Accordingly, the mechanism of transition is condensed on a limited area. As a rule, circling scheme includes more or less active pendentive elements in the form of small spherical triangles on each side of squinch. Circling scheme occurs in Georgian architecture in the eighth-tenth centuries (Tsirkoli, Armazi, Nekresi, Vachedzori, Matani, Ozaani, Kisiskhevi, Martvili).

Squinch techniques used in Georgia find analogues in the architecture of Armenia, Cappadocia and Tur Abdin. Church builders in these countries also gave preference to the graded scheme of squinches and octagonal drum. The forms of squinches and general disposition are also similar. This fact definitely indicates that the conditions of genesis and ways of the early development of the Christian architecture in Georgia, Armenia, Cappadocia and North Mesopotamia were closely related. Their technical peculiarities have been determined by strong local (partially also common) building traditions on the one hand, and technical innovations adopted from Sassanian-Iranian centres on the other. Impact of Constantinople and in general of Imperial architecture in this respect was inessential.

A specific hybrid form, squinch-pendentive arose in Georgian architecture around 900. Undoubtedly, it was developed from the circling scheme of squinch technique. Some early examples of squinch-pendentives resemble circling-scheme squinches to an extent that it is hard to fix boundary between them. The different correlation of components must be considered to be the universal distinction: circling-scheme squinches completely determine the nature of the transition structure and do not depend on pendentive segments, which have secondary role; squinch-pendentive implies insertion of a squinch into a pendentive in such a way as to take into consideration its architectural form.

Squinch-pendentives first appeared in South-West Georgia and remained to be leading form of transitional construction during the tenth century and the first half of the eleventh century. Squinch-pendentives are employed in almost all domed churches in Tao, Klarjeti, Shavsheti, and Javakheti provinces (Kineposi, Opiza, Doliskana, Tskarostavi, Zegani, Solomonkala, Khakhuli, Ekeki, Oshki, Tbeti, Shatberdi, and Ishkhani). In other regions of Georgia this form appears seldom only by the end of the tenth century (Nikozi in Kartli, Bichvinta/Pitiunt in Abkhazia). Squinch-pendentives occur also in some Armenian churches located in neighbouring with Georgia regions (Changli, "Red Church" in Ani, Astvatsatsin Church in Sanahin).